1927 წ. ივლისი.

№ 19.

დამოუკიდებელი საქართველო

La Géorgie Indépendante
Édition mensuelle

1927. — JUILLET № 19

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს პოლიტიკური პარტიების საერთო ორგანო.

რუსები და ჩვენ.

თუმცა არა ერთხელ მოტყუებულან წინასწარმეტყველებაში, ამ ათი წლის განმავლობაში, ბოლშევიზმის ხანგრძლივობაზე ან უკეთ მის აღსასრულზე, ეს არ უშლის მთელის სიმწვავით წამოიჭრას იგივე კითხვა დღეს. რუსის ემიგრაცია ევროპაში განსაკუთრებულ ინტერესს იჩენს, ბუნებრივათ, მისდამი. მის წარმოდგენაში ბოლშევიზმი ერთგვარი რკინის პერანგია, რომელიც ისევე გადაეძრობა რუსის ხალხს, როგორც გადაეცვა ერთ უბედურ დღეს, და ყველაფერი პირველყოფილ მდგომარეობას დაუბრუნდება. ერთი და განუყოფელი რუსეთი, დედა-მიწის მეექვსედზედ გადაჭიმული, და ზედ მორჭმული და მპყრობელი რუსის ერი!

ჩვენ არ ვამბობთ, რა თქმა უნდა, რომ რუსის პოლიტიკურ პარტიებს არავითარი ევოლიუცია არ განეცადოთ მათი ერის ტრაღიკულ ხანაში. მათ თითქოს იგრძნეს უცხოეთში, რა მწარეა სამშობლოს დაკარგვა, ერკვევიან ასე თუ ისე ნაციონალურ პრობლემაში, ადარებენ რუსეთის იმპერიას სხვა სახელმწიფოებს... და აკეთებენ ზოგიერთ დასკვნებსაც. ეს მით უფრო, რომ ბოლშევიკებმა ყური გამოუჭედეს ქვეყნიერებას, რომ ნამდვილ თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას სწორეთ ისინი ანიჭებენ ერებს, წაშალეს თვით სიტყვა «რუსეთი» და უმცირეს ეთნოგრაფიულ ერთეულსაც კი საკუთარი «ხელისუფლება» შეუქმნეს. ევროპაში, სადაც თვითეულ იურიდიულ ტერმინს თავისი აზრი და შინაარსი აქვს, ბევრმა, უცოდინარობით თუ სხვა მოტივით, ის დასკვნა გამოიყვანა, რომ რუსეთი ფედერატიულ ან კიდევ საკავშირო სახელმწიფოდ იქცაო.

მაშასადამე, მეტის-მეტ არაპოპულარულათ და არაკეთილხმოვანათ უნდა ჩასმენოდა საშუალ ევროპიელს ყურში ძველი რუსეთის ტლანქი სიტყვა და ჟესტი. ამიტომ თვით მემარჯვენე რუსებიც, მონარქისტები, დიდ სიბეჯითეს იჩენენ დაარწმუნონ ყველა იმაში, რომ არარუსთა ენა, სარწმუნოება, ზნე-ჩვეულება დიდ პატივში იქნება აღდგენილ რუსეთშიო. ზოგნი კულტურულ ავტონომიასაც არ იშურებენ! ჩვენ ერთი პროგრესიც კი შევამჩნიეთ მათ შარშან გაზაფხულს, როცა «ზარუბეჟნი» ყრილობაზედ რეზოლიუცია მიიღეს საქართველოზე, გავრცელებული სომხეთზეც, რომლის ძალით ისინი მზათ არიან იცნონ ამ ერთა დამოუკიდებლობა, როგორც შედეგი მეგობრულ მოლაპარაკებისა და ურთიერთ ინტერესების უზრუნველყოფისა.

უფრო პრინციპიალურათ უდგებიან საკითხს რესპუბლიკანელნი (ძველი კადეტები, ნაწილათ პროგრესისტები და მემარჯვენე ესერები). რომელნიც ეგრ. წოდ. დემოკრატიულ გაერთიანებაში იყრიან თავს. სულ პირველათ ერის თვითგამორკვევის პრინციპს აყენებდენ ისინი, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ გადამჭრელი ინსტანცია სრულიად რუსეთის დამფუძნებელი კრება იქნებაო. ე. ი. ერი თვითონ კი არ არკვევს თავის სვებედს, არამედ რუსეთის დამფუძნებელი კრება, სადაც, ნაგულისხმევია, რუსი-დეპუტატები შეადგენენ დიდ უმრავლესობას!

ამ ჟამად დამფუძნებელი კრება მოდაში არაა, იგი, რაც უნდა იყოს, შორეულ პერსპექტივას ეკუთვნის, საჭიროა უფრო კონკრეტული ფორმულა. ასეთად გამოცხადებულია ფედერაცია ძლიერი ცენტრალური ხელისუფლებით. ლიდერი დემოკრატიულ გაერთიანებისა მილიუკოვი არ ზოგავს სიტყვასა და კალამს, რომ ეს მეცნიერულათ დაასაბუთოს.

იმავე ფედერაციას, მეტი უფლებებით თვითეულ ერისთვის, ემხრობიან რუსის სოციალდემოკრატები და მემარცხენე ესერები. ქართველების მიმართ ესენი, უნდა ითქვას, გამონაკლისს აკეთებენ და იცავენ ჩვენს დამოუკიდებლობას მთელ ინტერნაციონალთან ერთათ. და ეს მათ დასაშვებათ მიაჩნიათ მანამ, სანამ რუსეთში ბოლშევიზმი მძვინვარებს, ხოლო შემდეგ, როცა იქ დემოკრატია დამკვიდრდება, მათ იმედი აქვთ, რომ ქართველები შევლენ... საერთო ფედერაციაში!

ამრიგათ, არ არის არც ერთი პოლიტიკური მიმართულება ემიგრაციაში, რომელიც მზათ იყოს დათმოს ამა თუ იმ ერის დღევანდელ «კავშირიდან» გამოყოფა. გამონაკლისი უკვე დავასახელეთ, მაგრამ ეს ხომ საერთო წესს ამტკიცებს. და ეს წესი კი იმაში მდგომარეობს, რომ ყველა მიმდინარეობანი აშკარათ და უფრო ხშირათ გულში მადლობას უძღვნიან ბოლშევიკებს, რომ მათ ხელახლა «შეკრიბეს» რუსეთი. ამის გარდა, თუ ისინი ასე თუ ისე ურიგდებიან პოლონეთის და ფინეთის განცალკავებას, ბალტიის სამი რესპუბლიკის მიმართ იმასვე ფიქრობენ, რასაც ქართველებზე: «თავის ნებით შემოგვიერთდებიანო»!

ცხადია, მაშასადამე, რომ «ერთი და განუყოფელი რუსეთი», იქნება ის მონარქისტული, რესპუბლიკური, ცენტრალისტური თუ ფედერატიული, შეადგენს მთელი რუსის ემიგრაციის ოცნებას. ამ მხრივ არავითარი პრინციპიალური განსხვავება არ არსებობს ბოლშევიკებსა და ემიგრაციას შორის. ამით აიხსნება ისიც, რომ საერთაშორისო პრაქტიკულ პოლიტიკაში ეს ორი, თითქოს ერთმანეთზე გადაკიდებული, ბანაკი ხშირათ ზურგს უმაგრებენ ერთმანეთს. მილიუკოვი ლოღიკაშია, ამიტომ, როცა ის სოლიდარობას უცხადებს წინდაწინ ბოლშევიკებს იმ შემთხვევაში, თუ მოხდა შეიარაღებული კონფლიქტი რუსეთსა და, მაგ., ინგლისს შორის, და მთელის არსებით გამოვა არა რუს ერთა წინაალმდეგ «კავშირის» ფარგლებში. ჩვენ არ დაგვიწყნია მისი გალაშქრება აჯანყებულ საქართველოს წინაალმდეგ, 1924 წ., როცა დაისვა კითხვა მის გამოყოფვის შესაძლებლობაზე.

ვეკითხებით თავს, რამდენათ სავალდებულოა რუსებისათვის ასეთი პოზიცია, განურჩევლათ მიმართულებისა—ნუ თუ უბრალო სამართლიანობის გრძნობა და გონიერება ვერ პოულობს მათში გამოძახილს? ჩვენ გვესმის მემარჯვენეთა ნაციონალიზმი და მემარცხენეთა პაციფიზმი, მაგრამ არ გვესმის უკანასკნელთა მტრობა არა რუს ერთა მისწრაფებისადმი. უეჭველია, ყველა ისინი იმყოფებიან გამქრალ იმპერიის გიპნოზის ქვეშ, ვერ წარმოუდგენიათ რუსეთი უჩვენოთ. უნდა ნახოთ, როგორის გულწრფელობით და აღელვებით გვედავებიან ისინი თავისუფლების, დამოუკიდებლობის საკითხში. გეგონებათ, ჩვენ ვაწყენინეთ ამით ცასა და დედამიწას, ვითომ გვინდა წავართვათ რუსებს მათი მიწა-წყალი, ხალხი, სიმდიდრე!

და სწორეთ ამიტომ წესწყობილების კითხვა, სახელმწიფოს ესა თუ ის ფორმა მთლათ მიიჩქმალება, როცა ჯერი ერთა განთავისუფლებაზე მიდგება. ჩვენ იჭვიც არ გვეპარება იმაში, რომ ეგრ. წოდ. დემოკრატები მილიუკოვის ტიპის—მის მარჯვნივ ხომ გახედვაც არ ღირს—პირველსავე ქარიშხალის ამოსვლაზე ზღვის ტალღებს გაატანენ რესპუბლიკას, დემოკრატიას, ფედერაციას... თუნდ აღდგეს ძველი იმპერია.

ერთი ცუდი საქმე სჭირთ მხოლოდ ამ გადაცმულ იმპერიალისტებს: ისინი აქ არიან უცხოეთში და ხიდადაგი გამოცლილი აქვთ ფეხიდან სამშობლოში. ისინი ოცნებობენ მომავალზე, ხოლო იგი წარსულის პრიზმით ეხატებათ მათ. ბოლშევიკებს ერთი სამსახური მაინც მიუძღვით: მათ საფუძვლიანათ დალეწეს წარსული და მის ნანგრევებზე ახალი ვერ ააშენეს.

სტაბილიზაცია და ბოლშევიზმი ორი სხვა და სხვა მცნებაა, ერთი მეორის უარმყოფელი. რუსეთი დღესაც რეზოლიუციების ხანაში იმყოფება, როგორც ოქტომბრის დღეებში, მოუსვენრობა. სიკვდილის ცელი ყოველ კუთხიდან, ომი, სამოქალაქო ომი, კონტრ-რევოლიუცია... ერთი სიტყვით, «პერმანენტული» რევოლიუცია!

დიახ, რუსეთი ის არ არის, რაც იყო, და არც შეიძლება იქნეს მომავალში. ამას უშლის, უწინარეს ყოვლისა, არარუს ერთა გაბედული გამოსვლა ისტორიულ ასპარეზზედ, მათი როლი საერთაშორისო კონცერტში. მილიუკოვი და ძმანი მათნი ძლიერ ჩამორჩენ დროს, მიუხედავათ მათი ენციკლოპედიზმისა.

ჩვენ, ქართველები, სულაც არა-ვართ დაინტერესებული ყველა რუსები ერთ გოდორში ჩავაქციოთ. მართალია, როგორც დავინახეთ, ისინი არ არიან ჩვენი დამოუკიდებლობის მომხრე, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ისინი ყველა ერთი და იმავე საშუალებით და მეთოდით გვებრძვიან ჩვენთვის ხელსაყოელიცაა, რომ ისინი ერთმანეთსაც ებრძვიან შიგნით სოციალ-პოლიტკურათ. ჩვენ შეგვიძლია იმავე ხაზზედ ვიდგეთ ერთთან ბოლშევიზმთან ბრძოლაში, მეორე გამოვიყენოთ დამუკიდებლობის იდეის დაცვაში ევროპის დემოკრატიის წინაშე, მესამე იძულებული გავხადოთ თუნდაც სიტყვიერი დათმობები გააკეთოს ჩვენს მიმართ [illegible] ამის გავლენით... და ასე ბოლომდის.

ჩვენ არა ვართ შოვინისტები, არც რუსოფობები. ვნებათა ღელვას არ უნდა დავუქვემდებაროთ ჩვენი მიზნები, მისწრაფებანი. ჩვენ არ ვედავებით რუსებს მათ სამფლობელოში, გვსურს მათთან კეთილგანწყობილება, მაგრამ ჩვენს სახლში ჩვენი თავი ჩვენვე უნდა «გვეყუდნეს». როგორც არ გვსურს ბოლშევიკების თარეში, ისე არ გვსურს რუს მონარქისტების, რესპუბლიკანელების, სოციალისტების ძალათ-მაცხონობა ჩვენს ტერიტორიაზედ.

ძალა თუ უძლურება?

მთელი კაცობრიობა შეშფოთდა, როცა მოსკოვის ელჩის ვოიკოვის მოკვლას ქ. ვარშავაში საბჭოთა რუსეთმა უპასუხა მასიური ტერორის განახლებით და მძევალთა გაჟლეტით.

მოსკოვის ხელისუფლებამ ასეთი ნაბიჯით საქვეყნოთ ერთხელ კიდევ დაადასტურა, რომ ყველა გასაჭირში მას მოეპოება მხოლოდ ერთათ-ერთი იარაღი—პოლიტიკურ მოწინაალმდეგეთა ფიზიკური განადგურება და ამ გზით ხალხის დაშინება. დესპოტია მუდამ ტერორით სულდგმულობს.

რას მოასწავებს ტერორის გაძლიერება და ჩეკის აშვება? ნუ თუ ეს საბჭოთა რეჟიმის განმტკიცებას გვიჩვენებს?

ტერორს რუსეთში ხანგრძლივი ისტორია აქვს. ცნობილია, რევოლიუციონერმა ნეჩაევმა თავისი პარტიის წევრი და ახლო მეგობარი მოაკვლევინა, შეიძლება შეპყრობისას გაგვცესო. როცა ხალხი რევოლიუციონერთა პროპაგანდას არ გაყვა და მათი გზა უარყო, ნაროდოვოლცები თვითმყრობელობის დასამხობათ წარჩინებულ მოხელეთა და შემდეგ მეფის მოკვლას შეუდგენ. ტერორი სუსტთა იარაღია. ასეთია რევოლიუციონურ პარტიათა მდგომარეობა. რაღა უნდა ითქვას სახელმწიფოზე?

ის უფლებრივ ნორმებს ეყრდნობა. მოსპეთ კანონების ძალა გავლენა, გააბატონეთ მოხელეთა თვითნებობა და სახელმწიფოც დაიმარხება და ანარქია გამეფდება. საბჭოთა რუსეთი ამის საუკეთესო მაგალითია.

ბოლშევიზმი ძალაუფლებას დაეპატრონა მსოფლიო ომის ლიკვიდაციის ხანაში. მან ხალხი პირველ ყოვლისა ფრონტის დარღვევით და დემობილიზაციით მიიმხრო. ომით მოქანცულობა ბოლშევიკებმა საუკეთესო პირობათ მიიჩნიეს და ეკონომიურათ და კულტურულათ ჩამორჩენილი რუსეთი მსოფლიო რევოლიუციის ბაირახტრათ გამოაცხადეს.

კომუნიზმი სუსტია. ის მუდამ დღე მარცხდება და სამარისაკენ მიეშურება. მას დარჩენია ერთად-ერთი იარაღი თავისი ხანმოკლე სიცოცხლის გასახანგრძლივებლათ—ასეთია ტერორი. პოლიტიკურ მოწინაალმდეგეთა გაჟლეტა მან სისტემათ გადააქცია.

ბოლშევიზმი რუსულ მესიანობისა და რუსულ იმპერიალიზმის გაერთიანებაა, როგორც ეს საფრანგეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა ალბერ სარომ თავის სიტყვაში დეპუტატთა პალატის წინაშე წარმოსთქვა. სანამ საბჭოთა რუსეთს შესწევდა ძალა გავლენა, რათა დაემორჩილებია დამოუკიდებელი რესპუბლიკები უკრაინისა და კავკასიისა, აგრეთვე მონგოლეთი და ბუხარა, ის შედარებით ადვილათ იმონებდა ველიკოროსიის ხალხს. იმპერიალისტურ ნიადაგზე ის ერის სხვა და სხვა წრეებს, მათშორის ემიგრანტებსაც კი იმხრობდა. დღესაც ბ. მილიუკოვიც კომსომოლისტათ გვევლინება, რაკი კომსომოლი პატრიოტულ სამოსელში იკაზმება.

მაგრამ მოსკოვის ხელისუფლება ამ უკანასკნელ იმედსაც გამოეთხოვა. ის საბოლოოთ დასუსტდა და ეს დაუძლურება აშკარა შეიქნა, როგორც ევროპა-ამერიკისათვის, ისე აღმოსავლეთის ერებისათვისაც. ჩანგსოლინის მიერ საბჭოთა რუსეთის საელჩოს გაჩხრეკა პეკინში და მთელ ჩინეთში მოსკოვის აგენტთა დამარცხება, ამის საუკეთესო მაჩვენებელია.

როცა საბჭოთა რუსეთის დაუძლურება ყველასათვის ცხადი შეიქნა, ხოლო სახელმწიფო ინდუსტრიას ბუხარინის აღიარებით გარეშე უცხოეთიდან მიღებულ კრედიტებისა არსებობა არ შეუძლია, ინგლისმა რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობა გასწყვიტა. ამ გზით მოსკოვის საგარეო იზოლიაციას მკვიდრი საფუძველი ჩაეყარა. ეს კი შინაურ არევდარევას აძლიერებს და კომუნისტურ პარტიის დარღვევას აჩქარებს. ოპოზიციის ამოძრავება ამის საუკეთესო მაჩვენებელია. რა დარჩენია მოსკოვის კრემლში მოკალათებულ დიქტატორთ გარეშე ტერორის გაძლიერებისა!

ამას ზედ ერთვის ერთი გარემოება. ბოლშევიკურმა დესპოტიამ კიდევ უფრო გაალვივა დამორჩილებულ ერთა სურვილი მოაწყონ თავისი დამოუკიდებელი არსებობა. წინაალმდეგ ბოლშევიკთა ცდისა დატუქსონ ერები და მათი ადგილ-მამული საკოლონიზაციო ფონდათ გამოიყენონ, საბჭოთა კავშირის მრავალი ერი წელში გაიმართა და დამოუკიდებლობისათვის მედგარი ბრძოლა გააჩაღა. ეს გარემოება საბჭოთა ხელისუფლებისათვის განსაკუთრებით სახიფათოა მიმდინარე მომენტში, როცა მისი საბოლოო იზოლიაცია და კულტურულ კაცობრიობისაგან გამოთიშვა ცხადი შეიქნა.

რაც უფრო სუსტდება ბოლშევიკური ძალა უფლება, რაც უფრო მარცხდება მისი ეკონომიური საქმიანობა, მით უფრო აშკარა ხდება, რომ მისი დამხობა საბჭოთა კავშირის დარღვევის სიგნალათ გადაიქცევა. აქ განმეორდება ის, რაც მოხდა ავსტრია-უნგრეთის იმპერიაში მსოფლიო ომის ლიკვიდაციის დროს. ამიტომაც არის, რამდენათ ძლიერდება დამორჩილებულ ერთა ამოძრავება, უფრო და უფრო მტკიცდება მოსკოვის დიქტატორთა გარშემო რუსულ იმპერიალისტურ წრეების თავმოყრა.

დღემდის ბოლშევიზმი ძლიერი იყო მით, რომ მან ყველა მოსალოდნელი მემკვიდრე გაანადგურა. და აი უცებ დახე საშინელებას. მის თვალწინ ისეთი ძლიერი მემკვიდრენი წამოიჭრენ, როგორიც არიან დამორჩილებული ერები. საქრთველო აზერბეიჯანი, მთა, უკრაინა და თურქესტანი—ეს ხომ საბჭოთა კავშირის თითქმის ნახევარია. რა გასაკვირალია, მოსკოვის მთავრობამ გონება დაკარგა და მძევალთა მასიური გაჟლეტით ორმო თავისსა და კაცობრიობას შორის კიდევ უფრო გაალრმავა და მით ინგლისის პოლიტიკა თვითვე დაადასტურა.

აღსასრულის მოლოდინში თავის უკანასკნელ იარაღს მიმართავენ. მაგრამ ამაოთ. ვინც ქარს თესს, ქარიშხალს მოიმკის. ტერორის მოტრფიალეებმა თვითვე გამოიწვიეს ქვესკნელთა ძალები. უკვე გაქრა შიში დესპოტთა წინაშე. ხშირი მოვლენა შეიქნა საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენლებზე ტერორისტული თავდასხმა, რაც კერძო მოქალაქეთა ინდივიდუალურ აღშფოთებას მიეწერება. ხოლო რაც უმთავრესია, თვით კომუნისტურ პარტიის წიაღში შინაური ბრძოლა მწვავდება. ოპოზიციონერებს ხელმძღვანელ ორგანოებიდან ერეკებიან, ხოლო ტროცკი და ზინოვიევი უკვე გადაასახლეს.

ციხე შიგნიდგან ტყდება. ამ პროცესს ტერორის გაძლიერება აჩქარებს. ახლოვდება დღე, როცა კომუნისტურ პარტიის გარშემო თავმოყრილი წრეები და ჯგუფები ერთი მეორეს დაერევიან და მით საბჭოთა კავშირის დარღვევას დღის წესრიგში დააყენებენ.

ნ. რამიშვილი.

გაუგებრობა.

ეხლახან მოხდა ორი გამოსვლა, ორივე აღსანიშნავი: ერთი—ბ. მილიუკოვისა, მეორე—ბ. კედიასი.

მილიუკოვმა თავის მოხსენებაში განაცხადა: «ის როლი, რომელსაც ბოლშევიკები აწერენ ინგლისს, არ არის ფანტასტიური. ჩვენ გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ ინგლისის პოლიტიკა მართლა მიმართულია არა მარტო ბოლშევიკების წინაალმდეგ, არამედ წინაალმდეგ საზოგადოდ რუსეთისა. საქართველო, უკრაინა, პოლონეთი და ლიმიტროფები ირაზმებიან ისე, რომ მხარს უჭერენ ინგლისს რუსეთის წინაალმდეგ. როგორი უნდა იყოს ამ შემთხვევაში ჩვენი პოზიცია? აშკარაა, ამ შემთხვევაში ინტერესი ბოლშევიკების და ინტერესი რუსეთის ერთი და იგივეა. ამიტომ თუ მოხდა შეიარაღებული შეტაკება ბოლშევიკებსა და ინგლასს შორის, ჩვენ მხარს დავუჭერთ ბოლშევიკებს, და არა საქართველოს, უკრაინას, პოლონეთს და მათ მოკავშირეებს. ჩვენი პატრიოტული გრძნობა იგივეა, რაც კომსომოლების და კომუნისტების წრეებშიო».

ასე ილაპარაკა მილიუკოვმა, როგორც ამას გადმოგვცემს მისივე გაზეთი «უკანასკნელი ახალი ამბები» (28 ივნისის №). როგორც მოსალოდნელი იყო, ბ. მილიუკოვს დარდი არა აქვს არც ერთა უფლების, არც ერთა თავისუფლების. მისთვის სანატრელია მხოლოდ «დიდი რუსეთი» აღდგენილი უწინდელ საზღვრებში. ეს ფანატიზმი იქამდეც კი მიდის, რომ ბ. მილიუკოვს ავიწყდება თვით თავის ერის ინტერესები: დეე რუსის ერი იტანჯებოდეს და წყდებოდეს ბოლშევიკების საშინელი ტირანიის ქვეშ, ეს არაფერია! ოღონდ კი სხვა ერებმა ვერ მიიღონ თავისუფლება, ოღონდ კი უკრაინა, საქართველო, მთა, აზერბეიჯანი და თურქესტანი არ გაუსხლტნენ ხელიდან რუსეთის ბატონობას.. რუსული იმპერიალიზმი დარჩა ისეთივე, როგორიც იყო ყოველთვის—საშიშარი და შეურიგებელი.

ამ საშიშროებამ დარაზმა მოწინაალმდეგე ძალებიც. დარაზმა თავდაპირველად უკრაინა, მთა, საქართველო, აზერბეიჯანი და თურქესტანი, ის ქვეყნები, ვისი უფლება ფეხით არის გათელილი. ამ ერებს არ უნდათ სხვისი ბატონობა, არ უნდათ ხელი აიღონ თავის მიწაწყალზე, თავის თავზე; უნდათ

თავისუფალი და ღირსეული ცხოვრება, უნდათ სხვა ერებთან ძმური თანამშრომლობა, დამყარებული უფლებაზე. ვინაიდან ამას ვერ ითმენს ძველი და ახალი რუსეთი, აუცილებელი გახდა დამხობა მისი იმპერიალიზმისა. ამისთვის მოეწყო ამ ერთა ანტი-ბოლშევიკური ბლოკი. ეს ბლოკი, როგორც აქტი საერთაშორისო ხასიათისა, ემყარება არა პარტიების შეთანხმებას, არამედ ერების სურვილსა და მისწრაფებას. ამისთვის ყველა ერმა მოაწყო თავისი ეროვნული ცენტრი.

რაც შეეხება საქართველოს, მისი მთავრობა არ არის კერძო ორგანიზაცია, იგი წარმოიშვა დამფუძნებელი კრებიდან, რომელიც არჩეულ იყო საყოველთაო ხმის მიცემით მთელი ერის მიერ და გამოხატავდა ეროვნულ ნებისყოფას, რომ «ამიერიდან საქართველო დამოუკიდებელი სახელმწიფოა». სად მოიპოება ისტორიაში მეორე ამისთანა პლებისციტი?! ამ მთავრობას, საერთაშორისოდ ცნობილს, ზედ დაერთო კიდევ დამფუძნებელ კრების ყველა ფრაქციები და ამნაირად შეიქმნა მართლა ეროვნული ცენტრი, რომლის უფლებრივი საფუძველი და პოლიტიკური შინაარსი ეჭვს გარეშეა.

აი ამ ცენტრის ირგვლივ უნდა იკრიბებოდეს ყოველი ჩვენი ეროვნული ძალა. კრიტიკა სხვადასხვა დოქტრინის, აშლა და გაღრმავება პარტიული უთანხმოების ასუსტებს და ანგრევს ეროვნულ ცენტრს, მაშასადამე ანგრევს იმ ბოძს, რომელზედაც აშენებულია თავისუფლებისათვის მებრძოლ ერთა ბლოკი მოსკოვის იმპერიალიზმის წინაალმდეგ.

ეს გაიგო მილიუკოვმა.

ეს ვერ გაიგო კედიამ.

გიორგი გვაზავა.

დამსახურებული პროფესორის პეტრე მელიქიშვილის გარდაცვალების გამო.

(ექ. თაყაიშვილის მოგონებიდან) *)

ივანე ჯავახიშვილმა გამაცნო გეგმა კერძო უნივერსიტეტის დაარსებისა. გეგმა მარტივი იყო. უნდა შეგვედგინა საზოგადოება, რომელიც იზრუნებდა სახსარის აღმოსაჩენად, თანხის შესაკრებად. თვით უნივერსიტეტი სწავლა მეცნიერების და გამგეობის საქმეში სრულიად ავტონომიური იყო. მას განაგებდა პროფესორთა საბჭო. უნდა დაგვეწყო სიბრძნის მეტყველების ფაკულტეტით (ეხლა პედაგოგიური ფაკულტეტია), რომლისათვის ნიადაგი კარგი ხანია იყო მომზადებული, აუარებელი მასალა იყო შეგროვილი ჩვენს მუზეუმებში. ამ დარგში წინეთ საჯარო ლექციები და მოხსენებანიც იმართებოდა. კადრი პროფესორებისა და ლექტორებისა, რომელნიც ცნობილნი იყვნენ უკვე თავისი სამეცნიერო შრომებით, საკმაო იყო. სამეცნიერო ცენზი პროფესორთათვის ერთხარისხოვანი იყო. სიბრძნის ფაკულტეტს შეძლებისამებრ უნდა მოჰყოლოდა სხვა ფაკულტეტების გახსნაც. უნივერსიტეტს თანდათან უნდა შემოეკრიბა რუსეთში მყოფი ქართველი პროფესორები, პრივატდოცენტები და საპროფესოროდ დატოვებული ახალგაზდობა. თუ სახსარი ნებას არ მოგვცემდა, პირველ ხანად პროფესორები გასამსჯელოს არ აიღებდენ.

მოვიწვიეთ პირველი საორგანიზაციო კრება უნივერსიტეტის საზოგადოებისა. ამ კრების თავმჯდომარეობა მე მხვდა წილად, ვინაიდან ივ. ჯავახიშვილი მომხსენებელი იყო და თავმჯდომარეობა არ ინება. კრებას დაესწრო პ. მელიქიშვილიც, რომელიც მაშინ ტფილისში ჩამოსული იყო. პეტრე ავირჩიეთ საპატიო თავმჯდომარეთ კრებისა. კრება აღტაცებით შეხვდა აზრს ქართული უნივერსიტეტის დაარსებისა. წარმოდგენილი გეგმა მოიწონა, აირჩია გამგეობა საუნივერსიტეტო საზოგადოებისა. თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა კოტე აბხაზი, ყოფილი თავადაზნაურობის წინამძღოლი. მაშინ თავად-აზნაურობის წოდება უკვე გაუქმებული იყო და საკითხი იყო აღძრული, თუ ვისთვის უნდა გადაეცათ ქონება თავად-აზნაურობისა.

მოგეხსენებათ, რომ ჩვენ თავად-აზნაურობას შედარებით დიდი ქონება ჰქონდა. მას ეკუთვნოდა განაწილება საადგილმამულო ბანკის მოგებისა, მას ჰქონდა მრავალი უძრავი ქონება: ქარვასლა თავის ბაღით, თეატრით და შენობებითურთ, თვით ის შენობა სადაც სათავად-აზნაურო გიმნაზია იყო, რომელშიაც ეხლა უნივერსიტეტი და მუზეუმებია მოთავსებული, და სხვა მამულები. სწორეთ მოგახსენოთ, მე დიდი იმედი არ მქონდა, რომ ჩვენი ღარიბი საზოგადოება საკმარის სახსარს მოუპოებდა უნივერსიტეტს თავის თავზე ხარჯის გაწევით, როგორც განზრახული იყო, ქალაქების და სხვა დაწესებულებების ერთხელ გადაჭრილი წლიურის გადასახადით და სხვა. ასეთი ენტუზიაზმის გამო დაპირებული გადასახადის იმედით დიდი არაფერი გამოდიოდა სხვა დროსაც და სხვა საპატიო მიზნებისთვის. ამიტომ ჩემი პირადი აზრი იყო, რომ თავად-აზნაურობას გადაეცა მთელი თავის ქონება უნივერსიტეტისათვის და ეს იქნებოდა მისი საუკეთესო ფონდი. მაგრამ ეს აზრი არ შეიწყნარა ყოფილმა თავად-აზნაურთ დეპუტატთა საკრებულომ, რომელსაც უნდა მოეხდინა ლიკვიდაცია ქონებისა. მან აბჯობინა ქონების გადაცემა ქართული ნაციონალური კრებისადმი. სხვათა შორის ამ გადაცემის საკითხი დაიდვა საბაბათ ნაციონალური კრების მოწვევისა. როგორც იცით, ნაციონალური კრება მოწვეულ იქნა და ქონება გადაცემული. ხოლო ერთი დიდი ადგილი წყნეთის ქუჩაზე ჩვენ ვიყიდეთ საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისათვის მუზეუმის შენობის ასაგებად იმ ფასში, რა ფასშიაც თვით თავად-აზნაურობას ჰქონდა ნაყიდი (ასი ათას მანეთად).

მერმინდელი პოლიტიკური ცვალებადი ჩვენი ერის ბედისა თქვენ მოგეხსენებათ. ნაციონალურ კრებას მოჰყვა ამიერ კავკასიის სეიმი, სეიმს საქართველოს თავისუფალ სახელმწიფოთ გამოცხადება. ჩვენი უნივერსიტეტი დიდის ამბით და ზეიმით გახსნილი 26 იანვარს 1918 წელს გამოცხადებულ იქმნა სახელმწიფო უნივერსიტეტად, გაიხსნა საბუნებისმეტყველო და სამათიმათიკო, სამკურნალო, საეკონომიო და სააგრონომიო ფაკულტეტები და სხვა. პირველ საბჭოს სხდომაზევე 13 იანვარს 1918 წელს პ. მელიქიშვილი არჩეულ იქმნა რექტორად ამ პირველი ქართული სამეცნიერო ტაძრისა. სამართლით ჩვენ უნდა აგვერჩია რექტორად ივ. ჯავახიშვილი, როგორც ამ საქმის ინიციატორი, მისი სულის ჩამდგმელი, რომელთანაც სრულის ერთსულობით, მხნედ და აღტაცებით დღე და ღამე დაუღალავად მუშაობდა მცირე ჯგუფი ქართველოლოგიაში უკვე კარგათ ცნობილი. მაგრამ ქართული უნივერსიტეტის დაარსების იდეას ბევრი მოწინააღმდეგენი ყავდა. ჯერ ერთი, რომ ახალმა რევოლიუციის მიერ წარმოშობილმა დროებითმა მთავრობამაც აღმაცერად შეხედა ამ საქმეს *). ადგილობრივი რუსის საზოგადოება და ყოფილი ჩინოვნიკობა მტრულად იყო განწყობილი. რატომ ქართული უნივერსიტეტი და არა საერთო ამიერ-კავკასიის უნივერსიტეტი, რომელშიაც ყველა ერის ახალგაზდობას შეუძლია მიიღოს უმაღლესი განათლება რუსულ ენაზე, ამბობდენ ისინი, ქართველებს ხომ არც პროფესორები ჰყავთ, არც მეცნიერული ტერმინოლოგია აქვსთ, არც სამეცნიერო წიგნები მოეპოებათ და სხვა ამგვარი არგუმენტებით ცდილობდენ ხელის შეშლას. პეტერბურგის მთავრობამ კიდეც მიიღო პრინციპიალური გადაწყვეტილება ამიერ-კავკასიის უნივერსიტეტის დაარსებისა, რომ ამით ხელი შეეშალა ქართული უნივერსიტეტის გახსნისათვის. ბოლოს რუსულმა საზოგადოებამ და ყოფილმა ჩინოვნიკობამ უცხოელებზედაც იქონია გავლენა, როდესაც მათი ჯარი შემოვიდა ამიერ-კავკასიაში, და ისინიც უფრო მომხრე იყვნენ რუსული უნივერსიტეტისა, ვიდრე ქართულის. ამიტომ ჩვენთვის საჭირო იყო უნივერსიტეტის სათავეში მოგვექცია ისეთი კაცი, რომელსაც მტრის თვალშიაც დიდი ავტორიტეტი ჰქონდა და რომლის წინაამდეგ ალაფერის თქმა არ შეეძლოთ. ასეთი კაცი იყო ერთად ერთი პ. მელიქიშვილი, დამსახურებული პროფესორი უმნიშვნელესი საბუნებისმეტყველო დარგისა, ქიმიისა, კარგათ ცნობილი მთელ რუსეთში, რომელსაც გავლილი ჰქონდა 45 წლის სტაჟი პროფესორობისა, აგრეთვე გამოცდილება დეკანობისა და რექტორის თანამდებობის აღმსრულებელიც იყო ერთანად ოდესის უნივერსიტეტში. თვით ივ. ჯავახიშვილმა გადაჭრილი უარი სთქვა რექტორობაზე და აუცილებლათ მი[illegible] პეტრე მელიქიშვილის არჩევა. პეტრე მელიქიშვილი ერთხმად იქმნა არჩეული. აქ დამაბრკოლებელი ერთი გარემოება იყო მხოლოდ, რაზედაც თვით პეტრე აქცევდა ჩვენს ყურადღებას, რომ ის ნაკლებად იცნობდა ჩვენს საზოგადოებას, არ იყო დახელოვნებული ქართულს ენაში, მაგრამ ამას არ ჰქონდა საიმისო მნიშვნელობა, ვინაიდან ივ. ჯავახიშვილი, სიბრძნის ფაკულტეტის დეკანათ არჩეული, გვერდში ედგა მელიქიშვილს და ის აკეთებდა, რაც მელიქიშვილისთვის საძნელო იყო. გადაჭარბებას თუნდ ყოვლად ღირსეული გადაცვალებულის მოღვაწის დაფასებაში ადგილი არ უნდა ჰქონდეს, ყველას თავისი უნდა მიუსაჯოთ, და ამიტომ მე უნდა ვთქვა, რომ, თუ გნებავთ, ფაქტიური რექტორი ივ. ჯავახიშვილი იყო. ის იღებდა სტუდენტობას, მსმენელებს, საზოგადოების წევრებს, მოსამსახურეთ, მასწავლებელთა და პროფესორთა პერსონალს და სხვა. პეტრე მელიქიშვილიც დატვირთული იყო თავის შესაფერის საქმეებით, ის იყო ხელმძღვანელი და მომწყობი საბუნებისმეტყველო ფაკულტეტისა. მას წილად ხვდა სხვადასხვა ლაბარატორიების ჩაბარება, მათი ერთი ბინიდან მეორეში გადატანა. მათი მოწყობა და ამუშავება, მთავრობასთან და უცხოელების წარმომადგენლებთან სიარული სხვადასხვა უნივერსიტეტის საქმეების გამო და სხვა. საზოგადოთ უნივერსიტეტის აღმშენებლობის და მოწყობის ხანაში ფუნქციების განაწილება ფორმალური არც ყოფილა. ყველა იმას აკეთებდა, ვისაც რა მოხვდებოდა, ვისაც რის გაკეთება შეეძლო, თუმცა ეს ფორმალურად მისი საქმე არ ყოფილიყო. ვის ურმით თუ ფურგუნით ავეჯი გადმოქონდა, ვინ წიგნებს ეზიდებოდა, ვინ აუდიტორიას ამზადებდა, ვინ ლაბორატორიას და კაბინეტებს აწყობდა და სხვა.

მე შემიძლია ვთქვა, რომ უდროოთ გადაცვალება ახალგაზდა მეცნიერის იოსებ ყიფშიძისა იყო შედეგი დაღლილობისა უნივერსიტეტის საქმეების გამო.

მხცოვანი პეტრე მელიქიშვილი სამშობლოს განთავისუფლებამ და უნივერსიტეტის დაარსებამ თითქოს გაახალგაზდავა. ჩვენთვის საოცარი იყო, როგორ შერჩა მას, უკვე მოხუცებულს, ასეთი ენერგია ფიზიკური და პსიქიური, საქმიანობა და დაუღალაობა. სოლოლაკის ქუჩიდან ფეხით მიდიოდა უნივერსიტეტში, საქმეები აუარებელი იყო, საბჭოს სხდომები ზოგჯერ ღამის ორს საათამდის გრძელდებოდა, ამას შემდეგ ის ფეხითვე მიდიოდა სახლში, დილას თავის დროზე უნივერსიტეტში იყო. საკვირველი და მასთან სასიამოვნო კიდევ ის იყო ჩვენთვის, რომ კაცი რომელიც თავისუფლად საუბრობას ძლივს ახერხებდა ქართულს ენაზედ, იმდენათ დახელოვნდა ამ ენაში, რომ რამოდენიმე თვის შემდეგ ქართულად კითხულობდა ლექციებს. ეს იმის მომასწავებელია, რომ მელიქიშვილი დიდი ნიჭის პატრონი იყო და რასაც ხელს მოჰკიდებდა, ადვილად ითვისებდა. ამიერიდან მან ქართულად დაიწყო თავის გამოკლევათა წერა და მოხსენებების კითხვა. ქართულს ენაზე პეტრეს აქვს გამოქვეყნებული შემდეგი სტატიები:

ჩვენი სასმელ-საჭმელის ქიმიური შემადგენელობა (ტფილ. უნივ. მოამბე I).

ჩვენი ღვინის ქიმიური შემადგენლობა (ტფ. უნივ. მოამბე I).

ვაზი და ღვინო (იქ. № II).

პასტერი როგორც ქიმიკოსი (საქართველოს სამკურნალოს მოამბე, 1922 № I).

ჩვენებური ყველი (ტფ. უნივ. მოამბე II).

ქიმია და ქიმიური მრეწველობა (ჩვენი მეცნიერება, I).

როგორც პროფესორი მელიქიშვილი სასტიკი იყო, მისი საგნის ზერელეთ შესწავლა და ასე ფონს გასვლა სტუდენტს არ შეეძლო, მას ჯეროვანად, გულმოდგინეთ და სიყვარულით უნდა შეესწავლა საგანი, მხოლოდ ასეთი სტუდენტისთვის ის ყველაფერი იყო, მამა, მრჩეველი, ძმა და მეგობარი. მას ჰქონდა უნარი გადაეცა სიყვარული თავის საგნისადმი თავის მოწაფეებისათვის, რომელთა შორის ზოგიერთები ცნობილი პროფესორები არიან: ზელინსკი მოსკოვის უნივერსიტეტში, პეტრენკო ოდესის უნივერსიტეტში, ბეზრედკო პასტერის ინსტიტუტში პარიზში, პისარჟევსკი ეკატერინოსლავის სამთომანდნო სასწავლებელში.

ერთხელ პეტრემ ნაღვლიანად მითხრა, დღეს გამოცდა მქონდა სტუდენტებისა, ზოგმა ჯეროვანად გამოიჩინა ცოდნა, ზოგი სრულიად მოუმზადებელი აღმოჩთა, ერთმა სულ არაფერი არ იცოდა და კიდევ პრეტენზია გააცხადა, რომ საკმაო ნიშანი არ დაუსვიო და ასეთი ლაპარაკი დამიწყო: «ეხლა ისეთი დრო არის, რომ შეღავათით უნდა მოგვეპყრათო, მე დიდათ დავბრკოლდები, რომ სემესტრი არ ჩამეთვალოსო». მე ვუთხარიო: დიახ, ეხლა ისეთი დროა, რომ ყველამ კარგათ უნდა აღვიჭურვოთ ცოდნით, თორემ მაგეთი უვიცობით შენ რომ მიდიხარ სახელმწიფოს ვერ ავაშენებთ მეთქი.

პ. მელიქიშვილი იყო მედგარი დამცველი უნივერსიტეტის ინტერესებისა და სახელისა, მას ღირსეულად ეჭირა თავი როგორც შინაურების ისე უცხოელების წინაშე. მან იცოდა ვისთვის რა პასუხი გაეცა. როდესაც ამერიკის წარმომადგენელმა მიიწვია პეტრე უნივერსიტეტის საქმეების საინფორმაციოთ და მოისმინა მდგომარეობა უნივერსიტეტისა, თურმე შენიშნა: «არ ემჯობინებოდა რუსული უნივერსიტეტი გაგეხსნათ ქართულის მაგიერ, თქვენ ალბათ ქართული ძალების ნაკლებლობას განიცდით, მეცნიერება ხომ ინტერნაციონალურია, სულ ერთია რომელ ენაზედაც შეითვისებთ მეცნიერებასო». პეტრემ უპასუხა: დიახ მეცნიერება ინტერნაციონალურია და ამიტომაც ყველა ხალხს თავის ენაზე უნდა ჰქონდეს შეთვისებულიო.

პეტრე იყო სპეტაკი ადამიანი, ყოვლად უანგარო, ღმობიერი და თავდაბალი, სასიამოვნე მოსაუბრე და ფხიზელი გონების პატრონი. ის უნივერსიტეტის საქმეში დიდს მომჭირნეობას იჩენდა. ვინც ოთახს იწუნებდა კაბინეტისათვის და ლაბორატორიისათვის, ის შენიშნავდა ხოლმე, ეხლა კომფორტის და ფუფუნების მოთხოვნას თავი უნდა დავანებოთ, ცოტათი უნდა დავკმაყოფილდეთ, თორემ ნორჩი უნივერსიტეტი ფეხს ვერ აიდგამს, თუ ყველამ დიდი მოთხოვნილება

---

*) დასასრული. იხ. «დამ. საქართველო» № 18.

*) ის ვერც ავტოკეფალიის აღდგენას შეურიგდა.

ძველი და ახალი საქართველო. *)

(დასასრული)

VIII.

ოთხმოცდაათიან წლებიდან იწყება ქართული მარქსიზმის ისტორია. თავისთავათ ძლიერ საინტერესოა, რათ და როგორ წარმოიშვა სოციალდემოკრატიული მიმდინარეობა ჩვენში? მარქსიზმი პროლეტარიატის მოძღვრებაა, პროლეტარიატი კი ისტორიულათ განვითარებული ქვეყნის შვილია. მაშ, როგორ მოიკიდა ფეხი პროლეტარიატის მოძღვრებამ საქართველოში, სადაც არავითარ ინდუსტრიულ განვითარებაზე ლაპარაკიც არ შეიძლება დღესაც კი! ვფიქრობ, შემცდარი არ ვიქნები, თუ ამ უცნაურ მოვლენის მიზეზათ შემდეგს აღვნიშნავ: ქართველი ხალხი სიღარიბეში და უუფლებობაში იხრჩობოდა, და აი შეიქმნა ბრძოლის ორგანიზაცია, რომელმაც მთელი სიძლიერით წამოაყენა სოციალური საკითხები; გაჩნდა ბრძოლის პარტია, რომელიც უძლიერესი სისასტიკით ეკვეთა არსებულ თვითპყრობელურ რეჟიმს, სადაც ყოველი ბოროტების სათავე იყო; წარმოსდგა ჯგუფი, რომელსაც აღმოაჩდა პარტიის შექმნის, ორგანიზაციულ წყობისა და დაუზოგველი ბრძოლის უნარი და თავის დროშის ქვეშ, ბრძოლის დროშის ქვეშ, გაძვალტყავებული ქართველი ხალხი დარაზმა: ეს იყო პროტესტისა და ბრძოლის პარტია, მოქმედების პარტია, რომელმაც თამამათ გადმოისროლა სოციალური ლოზუნგები და უუფლებო, გალატაკებული ქართველი მასსა გაჰყვა მას ამ სოციალურ ბრძოლის ველზე. სოციალდემოკრატიული, პროლეტარული, მარქსისტული იდეოლოგია კი არ იყო აქ გადამწყვეტი, არამედ ის პრაქტიკული ბრძოლა, რომელიც ამ პარტიამ თვითპყრობელობას გაუმართა. სოციალდემოკრატიული პარტია არ იყო ჩვენში პროლეტარული პარტია, არც შეიძლებოდა ასეთი ყოფილიყო, იგი თავისი მასიური შემადგენლობით იყო წვრილბურჟუაზიული, და თუმცა მას იდეოლოგია პროლეტარული ქონდა, აქტიური ბრძოლის საკითხები ისეთი იყო, რომ ამ პარტიას მიყვებოდა, როგორც მუშა, რომელთა რიცხვი ძლიერ მცირე იყო ჩვენში, ისე გლეხი, რომელიც ჩვენი ხალხის უმრავლესობის წარმომადგენელია, როგორც წვრილი ვაჭარი, რომელთა რიცხვი მცირე იყო და ქონება კი სუსტი, ისე თავადი და ინტელიგენტი, რომელნიც ამ პარტიას შეგნებით ეკედლებოდენ. სოციალდემოკრატია გადაიქცა ფართო, მასსიურ ბრძოლის პარტიათ და ამ ბრძოლამაც თვითმპყრობელობის წინაალმდეგ უმთავრესათ მის ზურგზე გადაიარა. ამ პარტიის ბრძოლის ფრონტი კი იყო სოციალური ფრონტი. მეორე მხრივ, 1901 წელში დაიბადა ავტონომისტების ეროვნული მოძრაობა არჩილ ჯორჯაძის თაოსნობით, საიდანაც შემდეგ სოციალისტფედერალისტთა პარტია წარმოიშვა.

პირველი რევოლიუციის დროს, 1905 წ., ქართველი ერის სოციალური მდგომარეობა ფრიად სადა იყო. ძველი საქართველოს სახელმწიფოებრივი ხელისუფლების მატარებელი თავადაზნაურობა რუსეთის ბატონობაში პოლიტიკურათ სრულიად განადგურებული, ეკონომიურათ ძლიერ დაეცა. ეს წოდება ერთი მხრით იძლეოდა რუსულ ხელისუფლების მატარებელ მოხელეებს და ოფიცრებს, მეორე მხრით, თავის საუკეთესო კულტურულ შვილებს, მაგრამ ეს წოდება იმდენათ მოშლილი და დარღვეული იყო, საზოგადოებრივ სიცოცხლისათვის იმდენათ დაწურული და ამომშრალი, რომ ეს მისი საუკეთესო შვილები მასთან არ რჩებოდენ და ფართო მასსის, ხალხის ასპარეზზე გადადიოდენ,—ამიტომ არ შექმნილა ჩვენში წმინდა თავადაზნაურული ან აგრარიულ იდეოლოგია და მისი მატარებელი პარტია.

მეორე მხრით, ქართველი ხალხი ისეთ ეკონომიურ ჩარჩოებში ჩასჭედეს, რომ მან ვერ შესძლო საკუთარი ბურჟუაზიის შექმნა. თვით რუსეთი იყო კაპიტალისტურათ მეტათ სუსტათ განვითარებული და ეს რუსეთი მიზანაღებულათ ჩვენი მრეწველობის განვითარებას ხელს უშლიდა და ამას გარდა, რაც იყო, ნედლი მასალის წარმოება, ისიც კი უმთავრესათ უცხო კაპიტალისტთა ხელში ჩავარდა. ვაჭრობა კი თითქმის პასიური იყო, უცხოთა, არა ქართველთა ხელში. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ არც ბურჟუაზიული იდეოლოგიის მატარებელი პარტიის შექმნა გახდა შესაძლებელი.

რევოლიუციის ტალღებმა მაღლა ასწია სოციალდემოკრატიული პარტია, პარტია, რომელმაც უდიდესი ისტორიული ამოცანა შეასრულა მით, რომ ქართველი ხალხი პოლიტიკურ გათვითცნობიერების გზაზე გამოიყვანა და პროვინციები თავისი პარტიული ორგანიზაციათა ქსელით ერთმანეთს გადაჯაჭვა. ამ მხრივ, სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია დამხმარე როლს თამაშობდა.

1905 წლის რევოლიუციამ წამოაყენა აგრეთვე პრაქტიკულათ ეროვნული საკითხიც. მაგრამ ამ ეროვნული საკითხის გადამწყვეტი იყო ახლა სულ სხვა საზოგადოება. თუ მე-19 საუკუნეში ქართველ ერს პოეტები დამღეროდენ და ეროვნულ საკითხს ილია ჭავჭავაძე და სხ. თავისი ბასრი კალმით ეხებოდენ, მე-20 საუკუნეში ეს საკითხი იყო უკვე არა პიროვნებათა და მოღვაწეთა საკითხი, არამედ გადაიქცა პარტიების საკითხათ, და ეს იყო დიდი წინსვლა, რომელიც ქართულმა საზოგადოებრივმა ცხოვრებამ განიცადა. მაგრამ ეს საზოგადოება, ეს წრე, სადაც ეროვნული დროშა აფრიალებული იყო, იყო ახლა სოციალისტური პარტია და ეს არის ის განსაკუთრებული მომენტი, რომელიც ჩვენს ისტორიას ახასიათებს. სხვა ქვეყნებში ჩვეულებრივათ ეროვნული იდეალისთვის მებრძოლი იყო: ან ხელისუფლებადაკარგული კლასი ან წოდება ან ახალი კლასი—ბურჟუაზია, რომელსაც ისტორიულათ ეროვნული როლი დაეკისრა ან ორივე ერთად. ჩვენში კი ამ მხრით, როგორც აღვნიშნე, განსაკუთრებული მდგომარეობა იყო. ამიტომ, ეროვნული საკითხი სოციალისტური პარტიების პროგრამის საკითხათ იქცა და პირველი პარტია, რომელმაც ეროვნული პროგრამა—ავტონომიის სახით—წამოაყენა იყო სოციალისტფედერალისტთა პარტია, რომლის რიგებს უმთავრესათ წვრილ ბურჟუაზიული მასსა და პოლიტიკურათ «ზომიერი» ინტელიგენცია ავსებდა. ეს პროგრამა იყო საქართველოს ავტონომია რუსეთში. ქართული საზოგადოებრივი ცხოვრება და აზროვნება იმდენათ ჯერ არ იყო კიდევ მომზადებული და თამამი, რომ საკითხი უფრო რადიკალურათ დაეყენებიათ. ჩვენი თავი ჩვენ გვეყუდნესო,—ეს უდიდესი ეროვნული ფილოსოფია, რომელიც ილიამ თავისი დაჭრილი გულიდან დასწერა, ჯერ კიდევ მიუწვდომელი იყო ჩვენი საზოგადოებისათვის, რომელიც დიდი რუსეთის პოლიტიკურ, ეკონომიურ, კულტურულ და ფსიქოლოგიურ მონობაში იყო ჩავარდნილი. სოციალდემოკრატია კი, რომელიც სავსებით

---

*) იხ. «დამ. საქართველო» № 18.

წარუდგინეთო. და მაგალითი მოყავდა, რომ ოდესაში 15 წელიწადი ლაბორატორია პატარა ნესტიან სარდაფში გვქონდა მოწყობილიო.

ადამიანი უნაკლულო არ არის და პეტრესაც თავისი პატარა ნაკლი ჰქონდა, რომელიც მისი ჩვეულებრივი ცხოვრებით და პროფესიით იყო გამოწვეული. პეტრე უცოლშვილო კაცი იყო, გატაცებული თავის სპეციალობით და სამეცნიერო მუშაობით, უმეტეს დროს ატარებდა ლაბორატორიაში და კაბინეტში, მას ჰქონდა საქმე მათემატიკურად ჩამოყალიბებულ ფორმულებთან, რომელსაც ვერც ვერაფერს გამოაკლებ და ვერც ვერაფერს მიუმატებ. ამიტომ ის ჩვენებურ გაუთავებელ დისკუსიას და შეხლა-შემოხლას ვერ იტანდა, მოწინააღმდეგეს აზრს დამშვიდებით ვერ ისმენდა, მეტადრე თუ ეს აზრი მისი შეხედულობით გულწრფელი არ იყო. ღელავდა და გული ადვილად მოსდიოდა. როდესაც პეტრე თავის სერთუკის ღილების შესკვნას დაიწყებდა, ეს იმის ნიშანი იყო, რომ ის ჯავრობდა, აღელვებული იყო და მზათ იყო კრება დაეტოვებია. ერთხელ ერთმა პროფესორმა მაცინა. გუშინ პეტრე გამიჯავრდაო. ფაკულტეტის კრება გვქონდა. კრების ბოლოს ჩვენს მატერიალ უმწეობაზე ჩამოვაგდეთ ლაპარაკი, რომ შუამდგომლობა აღვძრათ, ჯამაგირი მოგვიმატონო. პეტრემ თქვა, არ შეიძლება, მთავრობას სახსარი არა აქვს, უნდა ყველამ გავიჭიროვოთ, მოვითმინოთ და ნაკლულოვანება ავიტანოთო. მე ხუმრობით უპასუხეო: «თქვენ შეგიძლიათ ატანა, რადგან მარტოხელი ხართ და მერმე კიდევ ხანშესრული ბრძანდებით. ხანშესრულის კაცის კუჭი ნელად მუშაობს, მას ცოტა საზრდოც ეყოფა, ჩვენი, შუახნის კაცის და ახალგაზდების კუჭი უფრო სწრაფად მუშაობს და უფრო მეტს საზრდოს თხოულობს. ეს ფიზიოლოგიური კანონია, თქვენც კარგათ მოგეხსენებათქო. გამიჯავრდა პეტრეო. გაწყრა, აღელდა. ეს რომ შევნიშნე, მივედი: პეტრე, ნუ გამიჯავრდები, გეხუმრე, კარგი ახლა, შევრიგდეთ, ვუთხარიო, მაგრამ, შენც არ მომიკვდე, უცებ შეიკრა ღილები, ხმაც არ გამცა და წავიდაო.

იყო ერთი შემთხვევა, უფრო არა სასიამოვნო. ერთხელ მას უნივერსიტეტის საპროფესორო ოთახში ერთს თუ ორს კოლეგასთან ლაპარაკი მოსვლოდა, მოთმინებიდან გამოსულიყო და არა საკადრისი სიტყვები ეხმარა. შემდეგ გულმოსულს განეცხადებია, რომ ის თავს ანებებს რექტორობასაც და პროფესორობასაც უნივერსიტეტში და წასულ იყო. რაში იყო საქმე არც დღეს ვიცი და არც საინტერესოა, ხოლო როცა ეს ამბავი ივ. ჯავახიშვილმა გადმომცა, მთხოვა წავსულვიყავი პეტრესთან და ეს საქმე როგორმე მომეგვარებია, თუ მანდამაინც რექტორობას თავს დაანებებდა, პროფესორობა განეგრძო. მე ერთი ორი დღე დავიცადე, რომ პეტრე ცოტა დამშვიდებულიყო, მერმე მივედი ბინაზე მასთან. იამა ჩემი მისვლა. თვითონ მიამბო ყველაფერი ინცინდენტის გამო. მე ვუთხარი, მე არ შევდივარ იმის განხილვაში რაშია საქმე, ან ვინ არის დამნაშავე ამ სამწუხარო ინციდენტისა, მე მხოლოდ ისე, როგორც თქვენი პატივისმცემელი და მეგობარი ივ. ჯავახიშვილი და სხვა ჩვენი ამხანაგები, ვერ შევრიგებივართ იმ გადაწყვეტილებას, რომელიც თქვენ მიგიღიათ მომხდარი ინცინდენტის გამო. ვთქვათ, ისინი დანაშაულნი არიან, მაგრამ აქ რაშუაშია უნივერსიტეტი, ან ჩვენ დანარჩენი ასიოდე კაცისაგან შემდგარი უნივერსიტეტის კოლეგია, რომ გვიწყრებით, გვტოვებთ და მიდიხართქო. აქ საჭირო არ არის განვაგრძო რა ველაპარაკე. ვიტყვი მხოლოდ, რომ ჩემა გულწრფელმა ლაპარაკმა მის ნაზ გულზე იქონია გავლენა, ტირილი მოუვიდა, გული ამოესკვნა, ასე რომ იძულებული ვიყავი წყალი მიმეწოდებია. ძლიერ გულჩვილი ადამიანი აღმოჩთა. ცხადი იყო, პეტრე თავის თავს უფრო სასტიკ მოთხოვნილებას უყენებდა ვიდრე სხვას, გრძნობდა რომ არ უნდა დაეშვა არა საკადრისი სიტყვები, რომელთა შემდეგ მას უხერხულად მიაჩთა უნივერსიტეტში დარჩენა, კოლეგების რცხვენოდა. ბაასი ჩვენი გაგრძელდა. პეტრე დამშვიდდა, გადამკოცნა, დამეთანხმა, რომ მისი წასვლა უნივერსიტეტს ავნებდა, პროფესორათ დარჩენაზე თანხმობა გამოუცხადა, ხოლო რექტორობაზე უარი თქვა. ამის შემდეგაც ისე გულმოდგინეთ და მხნედ განაგრძობდა მოღვაწეობას უნივერსიტეტში, როგორც წინეთ. რექტორათ ივ. ჯავახიშვილი ამოვირჩიეთ. ფაქტიური რექტორი მაინც ხომ ის იყო და ამით არაფერი არ შეცვლილა არსებითათ. ამ დროს უნივერსიტეტი უკვე ისე მოღონიერებული იყო, რომ არავითარი საშიშროება არ მოელოდა.

პეტრე იყო დიდათ დაინტერესებული ჩვენი მრეწველობის საკითხით. თქვენ მოგეხსენებათ, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ქიმიას მრეწველობის განვითარებაში. გერმანიამ თუ წინ გაუსწრო სხვა ქვეყნებს ომის წინ მრეწველობაში და ტეხნიკაში, ეს იყო შედეგი ქიმიის დარგის განვითარებისა და მისი თეორეტიული მიღწევების პრაქტიკულად გამოყენებისა. პეტრე იყო ჩვენში ამ საკითხში პირველი ავტორიტეტი, მრჩეველი და ხელმძღვანელი ყველასთვის. მას აზრათ ჰქონდა სხვა და სხვა სამრეწველო ამხანაგობის დაარსება და ზოგი კიდეც დაარსა მგონი, აქ მას დიდი საქმეების მოწყობა შეეძლო, რომ დასცალებოდა.

ხანშესრული ადამიანი, რასაკვირველია, ყოველ დღე უნდა ელოდეს აღსასრულს, ეს ბუნების კანონია, მაგრამ პეტრეს სიკვდილი მაინც მოულოდნელი იყო. უბრალო შემთხვევითი ჭრილობა გამიზეზებია, როგორც სწერენ, და ამის შედეგი ყოფილა სიკვდილი. უამისოდ მის საღ ბუნებას კიდევ კარგს ხანს შეეძლო განეგრძო თავისი ნაყოფიერი მუშაობა. ისე შეიძლება ვთქვათ, რომ პეტრე მელიქიშვილი ბედნიერი კაცი იყო: ბედნიერი იყო მით, რომ თვალსაჩინო კვალი დასტოვა მეცნიერებაში; ბედნიერი იყო მით, რომ სიბერეშიც შეინარჩუნა ძალა, ენერგია და უნარი მუშაობისა, რაც ასე იშვიათია სხვებისათვის; კიდევ უფრო ბედნიერი იყო მით, რომ მას ბოლოს მაინც წილად ხუდა გამოსდგომოდა თავის საყვარელ სამშობლოს და გამხდარიყო ერთი იმ ბურჯთაგანი, რომელზედაც დაემყარა და გაიფურჩქნა ჩვენი ნორჩი ქართული უნივერსიტეტი.

ქართული პროცესი პარიზში.

(ვეშაპელის მკვლელობის საქმე)

6, 7 და 8 ივლისს, პარიზის საოლქო სასამართლოში, ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით, გაირჩა საქმე ვეშაპელის მკვლელობის.

მკითხველს ახსოვს, თუ რა პირობებში მოჰკლა ვინმე ახალგაზდა ა. მერაბაშვილმა, გრიგოლ ვეშაპელი. ჩვენს გაზეთში თავის დროზე (გასული წლის ივლისში) აწერილი იყო ეს მკვლელობა. ჩვენ მაშინვე დავგმეთ ეს აქტი მერაბაშვილისა; დავგმეთ გადაჭრით, რადგან ქართველ ეროვნულ პარტიებს არ მიაჩნიათ ტერორი თავის ბრძოლის იარაღათ, მიუღებლათ სთვლიან მას როგორც ზნეობრივი, აგრეთვე პოლიტიკური თვალსაზრისით. განსაკუთრებით დასაგმობია ასეთი მოქმედება, როცა მას ადგილი აქვს უცხო ტერიტორიაზე და ისიც საფრანგეთში, რომლის სტუმართმოყვარეობას და მფარველობას განსაკუთრებულის პატივისცემით უნდა ეპყრობოდეს თვითოეული ქართველი ემიგრანტი. ჩვენი ასეთი დამოკიდებულება მერაბაშვილის მიერ ჩადენილ მკვლელობისადმი აშკარად და საჯაროთ გამოსთქვეს საფრანგეთის საზოგადოებრივ აზრის წინაშე პროცესზე ქართველ პოლიტიკურ მოწმეებმა (დათ. შარაშიძის ჩვენება).

მაგრამ მკითხველმა იცის, მეორე მხრით, რომ მოსკოვმა და მისი კარნახით მისმა შინაყმებმა ევროპაში მოინდომეს ამ მკვლელობის გამოყენება ქართველ პოლიტიკურ ემიგრაციის და ქართველ მებრძოლ პოლიტიკურ პარტიების წინააღმდეგ: ჯერ პრესაში (საქარ-ში, რუსეთში და ევროპაში), ცდილობდენ კომუნისტები მოეხვიათ თავზე ანტი-ბოლშევიკურ ქართველობისათვის პასუხისმგებლობა მერაბაშვილის აქტისათვის; შემდეგ კი ეს ცილისწამება მოსკოვის კარნახით გადატანილ იქნა თვით სასამართლოში თავიდანვე, ჯერ კიდევ გამოძიების პროცესში, როგორც ეს ცხად ჰყო სასამართლოში მერაბაშვილის ერთ-ერთ დამცველმა, ბ-ნმა რუდენკომ. ამ ამგვარათ, ჩვენი მტრის სურვილით და ინიციატივით ამ საქმეს მიეცა უაღრესად პოლიტიკური ხასიათი. ვერც მოსკოველებმა ვერ გაითვალისწინეს, რომ საქმის ასე დაყენება მთელი თავისი სიგრძე-სიგანით წამოაყენებდა საფრანგეთის ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს წინაშე, ე. ი. საფრანგეთის სინიდისის წინაშე საქართველოს საკითხს და რომ ამას აუცილებლივ ჩვენი მტრის მორალური და პოლიტიკური გაბახება მოჰყვებოდა. ასეც მოხდა. მერაბაშვილის დამცველებათ გამოდიოდენ ბ.ბ. ბატაი და რუდენკო (ეს უკანასკნელი შთამომავლობით რუსია, რომელმაც ომის შემდეგ მიიღო საფრანგეთის ქვეშევრდომობა). ხოლო ბრალმდებელის როლი იკისრა, გარდა ოფიციალურ პროკურორისა ბ-მა ტორესმა, ცნობილმა ადვოკატმა, რომელიც ფორმალურად გამოდიოდა ვეშაპელის ქვრივის სახელით, ნამდვილათ კი იცავდა საქმეში მოსკოვის პოზიციას.

გამოწვეული იყო ოცდაათამდე მოწმე. ამათგან 5-6 სამოქალაქო მომჩივანის მიერ, ხოლო დანარჩენნი თვით სასამართლოს და დამცველთა მიერ. ფრანგ მოწმეებში მოვიხსენიოთ ქართველი ხალხის ძველი და ერთგული მეგობრები: დეპუტატები პ. რენოდელი და ა. მარკე, პოლკოვნიკი ლ. კოკე, მწერალი დიუგე, ბ-ნი პატრიწი. მოწმეთ გამოცხადდა თვისი სურვილით ცნობილი რუსი პოეტი ვ. ბალმონტი. მოწმეთა რიცხვში იყო აგრეთვე ბ-ნი მეგარაშავი, აზერბეიჯანელი პოლიტიკური მოღვაწე. დანარჩენი მოწმეები იყვნენ ქართველები, პოლიტიკური მოღვაწეები და ახალგაზდები, რომელთაც საბჭოთა საქართველოში მიუღიათ მონაწილეობა ეროვნულ ბრძოლაში და უგემიათ ჩეკა, ციხე და გადასახლება.

პირველი მორალური მარცხი, რომელიც წილათ ხვდა ამ პროცესზე ბოლშევიკებს, იყო ის გარემოება, რომ სამოქალაქო მხარის მიერ გამოწვეულ მოწმეთაგან ([illegible], ბ.ბ. ზუბალაშვილი, ექიმი მიქაძე, ხაჩიძე) გამოცხადდა მხოლოდ ერთი, ბ-ნი ხაჩიძე და ამანაც იმდენი [illegible] გამბედაობა გამოიჩინა, რომ სამსაჯულოს სიმართლე უთხრა ვეშაპელის როლის და მოღვაწეობის შესახებ. ბ-ნი ხაჩიძე ყოფილა გ. ვეშაპელის მდივანი და «ახ. საქ.»-ს კორექტორი. ადვოკატების კითხვებზე მან უპასუხა, რომ ვეშაპელი არ იყო დამოუკიდებელი თავის საპროპაგანდო მოღვაწეობაში, რომ მისი გაზეთის ხარჯებს ფარავდა რუსეთის საელჩო პარიზში და რომ გაზეთის მიმართულება და შინაარსი წყდებოდა ცნობილ ფიროუმოვის და ვეშაპელის შეთანხმებით პირველის კაბინეტში იმავ სოვეტების საელჩოში. ბ. ხაჩიძის ჩვენების შემდეგ პროკურატურის მიერ გამოწვეულ მოწმეებმა ბ. ბ. გ. გვაზავამ, სპ. კედიამ, დ. შარაშიძემ გააცნეს სასამართლოს ქართველი ერის ბრძოლა თავისუფლებისათვის, ჯერ ძველი რუსეთის დროს, შემდეგ 1921 წლის თებერვლიდან. მსაჯულთა წინაშე გადაიშალა სურათი ერთის მხრით ქართველი ხალხის თავდადებულ ბრძოლისა, მეორე მხრით დევნის, წამების, გადასახლების, ხვრეტის, რაიცა ხვედრია ერის საუკეთესო შვილებისა. სხვა ქართველ მოწმეებმა, ქ-ნ ხუციშვილმა, ს. ლიაძემ, ნ. ურუშაძემ, ვ. ინწკირველმა და სხვებმა ასწერეს პარადათ გადატანილი დევნა-წვალება ჩეკა-ციხეებში და საერთოდ მწარე ბედი ქართველი ახალგაზდობის. განსაკუთრებით ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა ფრანგ პეტრიწის ჩვენებამ: მან ასწერა, თუ როგორ სტანჯეს ის და მისი მეუღლე 18 თვის განმავლობაში, როგორ ათრიეს თფილისის ჩეკიდან საგუბერნიო ციხეში, აქედან მოსკოვის ჯეპეუში და ბოლოს სოლოვეცის კუნძულებზე, საიდანაც ის დაიხსნა საფრანგეთის საელჩომ მოსკოვში.

დიდის ინტერესით მოუსმინა სასამართლომ ბ-ნ ბალმონტს, რომელმაც მკვეთრი სიტყვებით დაგმო ის უბედურება, რომელიც ბოლშევიკებმა დაატეხეს თავს რუსეთს და საქართველოს. მაგრამ უმაღლეს წერტილს მიაღწია პროცესმა, როცა მოწმის ბარიერზე წარსდგენ საფრანგეთის ცნობილი პოლიტიკური მოღვაწეები: დეპუტატები რენოდელი და მარკე. ორთავემ დაახასიათეს ჯერ დამოუკიდებელი საქართველო, რომელსაც ისინი გაეცნენ ადგილობრივ, 1920 წელს; ასწერეს თუ რა გატაცებით ეწეოდა სახელმწიფოებრივ აღმშენებლობას ქართველი ერი, ერთსულოვანი შემოკრებილი დემოკრატიულ მთავრობის ირგვლივ. შემდეგ დაწვრილებით მოუთხრეს მსაჯულთ დოკუმენტების აღნიშვნით (ტროცკის წიგნი და სხვა.), რა პირობებში და რა მიზნით დაესხა საბჭოთა რუსეთი თავს საქართველოს, რა პირობები შექმნა მან დაპყრობილ საქართველოში და სხ. ბ. რენოდელმა განაცხადა, რომ საფრანგეთმა იცნო საბჭოთა რუსეთი, მაგრამ ამით არ გაუუქმებია დამოუკიდებელ საქართველოს ცნობა და გამოსთქვა ღრმა რწმენა, რომ რესპუბლიკის მთავრობა არ აიღებს ხელს დემოკრატიულ საქართველოს ცნობაზე. ბ ნმა ტორესმა სინჯა შედავებოდა ორთავე დეპუტატს, მაგრამ მიიღო სათანადო პასუხი. როცა ის დაესხა თავს ქართველი ერის ბელადებს, ნ. ჟორდანიას, კ. ჩხეიძეს და ირ. წერეთელს, რომელთაც ვითომც მას შემდეგ გამოეცხადებიოთ საქართველოს დამოუკიდებლობა, რაც «რუსეთში დაკარგეს სამინისტრო პორტფელები», პ. რენოდელმა მიაძახა: «ნიჭთან და ხელობასთან ერთად სინიდისიც საჭიროაო!» მან აუხსნა მსაჯულებს, რომ პირველი და ნამდვილი რევოლიუცია მოახდინა რუსეთში დემოკრატიამ, რომელსაც სათავეში ედგენ ქართველ მოღვაწეები, რომ ბოლშევიკებმა სისხლში ჩაახრჩვეს ეს რევოლიუცია და რომ ქართველმა ხალხმა დამოუკიდებლობის გამოცხადებით განახორციელა თვისი უდაო უფლება თვითგამორკვევისა, რომლის უარყოფა სიტყვით თვით ბოლშევიკებმაც ვერ გაბედეს.

ამგვარად, პროცესში სრულად მიიჩქმალა ბრალდებულ მერაბიშვილის პიროვნება, მსაჯულების წინაშე აისახა უმწიკვლო სახე ტანჯულ ქართველ ერისა და საფრანგეთის საზოგადოებრივ აზრის წინაშე ბრალდებულის სკამი დაიჭირა საბჭოთა რუსეთმა და მის ქართველ თუ უცხოელ შინაყმებმა. ასეთ პირობებში სრულიად ბუნებრივი იყო, რომ მსაჯულებმა, მცირე თათბირის შემდეგ, გამამართლებელი მსჯავრი გამოუტანეს მერაბაშვილს.

ბ. ბ. ბატაიმ და რუდენკომ დიდის აღტაცებით და ნიჭით ჩაატარეს დამცველთა როლი.

საფრანგეთის მთელი პრესა უდიდესი ყურადღებით ადევნებდა თვალყურს პროცესს და თითქმის ერთხმათ გადაჭრით დადგა (გარდა სოვეტების ოფიციოზის «ჰიუმანიტესი») თავისუფლებისათვის მებრძოლ ქართველი ხალხის მხარეზე.

დამსწრე.

* * *

სოციალურ ფრონტზე იდგა, თუმცა პრინციპიალურათ აღიარებდა ეროვნული თვითგამორკვევის უფლებას, ქართული ეროვნული პროგრამის წამოყენების საჭიროებას უარყოფდა, რადგან იგი ჯერ, პირველ რიგში რუსეთის თვითპყრობელობის დანგრევისათვის იბრძოდა. სოციალდემოკრატიის ამ ტაქტიკას ხელს უწყობდა ის მოვლენა, რომ მაშინდელი მარქსიზმი საერთოდ ეროვნული საკითხით მცირეთ დაინტერესებული იყო, და არც გარკვეული პროგრამული შეხედულება იყო, რადგან მარქსიზმის კლასიკურ ქვეყანაში—გერმანიაში, ეს საკითხი არ არსებობდა. პირველი რევოლიუციის დროს და შემდეგ ეროვნული საკითხი რუსეთის იმპერიაში აშკარათ და მწვავეთ წამოიჭრა, ჩვენშიც, ბუნებრივია, დაისვა იგი და სოციალდემოკრატია იძულებული გახდა ეს საკითხი განეხილა. ლადო დარჩიაშვილმა თამამათ დასვა ეს საკითხი. მას მოყვა მთელი ჯგუფი და ბოლოს თვით პარტიის ლიდერებიც ამუშავდენ ამ საკითხის გარშემო, დაიწყო კვლევაძიება და ცხარე ბრძოლა-კამათი, რომელიც ასეთ სასიცოცხლო საკითხს თანა სდევს ხოლმე.

ამავე დროს იბადება ახალი პარტია—ნაციონალ-დემოკრატიული პარტია, რომელსაც თავი უნდა მოეყარა და დაერაზმა არა სოციალისტური ელემენტები. ნაციონალური საკითხი ამ პარტიაში მთავარ ადგილს იჭერს, მაგრამ მან ვერ მოასწრო ომამდის გარკვეულ პროგრამის წამოყენება—საერთაშორისო ომი ასტყდა არა მარტო სამხედრო ფრონტებზე, არამედ აზროვნებაშიც და პატარა ერთა საკითხი მწვავე სიმკვეთრით წამოიჭრა.

ომმა განსაკუთრებული მოძრაობა გამოიწვია. ეს იყო დეფეტისტური მოძრაობა, რომელიც რუსეთის დამარცხების მოსურნე იყო. ყველა გრძნობდა ინსტიქტიურათ, რომ რუსეთის დამარცხებას შედეგათ თავისუფლება მოჰყვებოდა, მაგრამ მოვლენათა კონკრეტული დაფასება მაინც მიუღწევარი იყო. უნდა აღვნიშნო აგრეთვე ის ბრძოლა, რომელსაც ქართველი სეპერატისტები უცხოეთში აწარმოებდენ. ქართველთა ერთმა ჯგუფმა სეპერაციის პროგრამა წამოაყენა და მის განსახორციელებლათ პრაქტიკულ მუშაობასაც ეწეოდა.

IX.

თვითპყრობელურმა რუსეთმა ველარ აიტანა ომის მძიმე ტვირთი და საერთაშორისო ომის ველზე რუსეთის უზარმაზარი იმპერია დაენარცხა და ნაკუწებათ იქცა. რუსული არწივის ბრჭყალებში გამოხუთულ ერთა განთავისუფლების ჟამმა დაჰკრა. ეს იყო ომისა, რევოლიუციისა და მძვინვარე ანარქიის ხანა და საკითხი: რა ვაკეთოთ, როგორ ვაკეთოთ, მძიმე და რთული საკითხი იყო. მე ამ ხანის ისტორიას არ მოვყვები, ყველა ვართ მისი მონაწილე და მოწამე.

1918 წელს, მაისის 26-ს საქართველოს ეროვნულმა საბჭომ საქართველოს დამოუკიდებლობა გამოაცხადა: ამ დღეს იშვა ახალი საქართველო. მას წინ უძღოდა დამოუკიდებელი ქართული ეკლესია. ჩვენ უკვე ვიცით: რა იყო ძველი საქართველო. ძველ საქართველოში მე-13 საუკუნიდან იყო ტერიტორიალური სახელმწიფონი, სამეფოებათ და სამთავროებათ დაქუცმაცებული; იყო ფეოდალური საქართველო, არ იყო მთლიანი სახელმწიფოებრივი ორგანიზმი; იყო მრავალმეფობა. არ იყო ერთი საქართველო—სახელმწიფო. ჩვენ ვიცით: როგორ მოკლეს ეს საქართველო, როგორ დაიტკეპნა მისი საფლავი რუსული მძიმე ჩექმებით. ვიცით უკვე: როგორ ნელა, მძიმეთ ზლაზვნით ვითარდება, როგორი დიდის ტკივილებით იზრდება ახალი საქართველო რუსეთის მონობის უღლის ქვეშ. 1918 წ. დაიბადა ახალი საქართველო.

ახალი საქართველო იყო ახალი ყოველ მხრივ. ეს იყო: საქართველო—სახელმწიფო. ეს იყო: ეროვნული სახელმწიფო—საქართველო. ქართველი ხალხი გაეროვნდა სახელმწიფოებრივობაში, ხალხი ერათ იქცა, ერი სახელმწიფოთ, და სახელმწიფო ერი იყო. ეს იყო: მთლიანი საქართველო, მთელი თავისი კუთხეებით დედაქალაქ, მოხუც თბილისში შეერთებული. ეს იყო საქართველოს სახელმწიფო—დემოკრატიული რესპუბლიკა; ხელისუფლების მატარებელი და სუვერენი—თვით ქართველი ერი. ძველი საქართველოს მესვეურებმა—მეფე-თავადაზნაურობამ დაკარგეს თავისი საქართველო. ქართველმა ხალხმა მოიპოვა ახალი საქართველო, ნამდვილი საქართველო, დამოუკიდებელი ეროვნული სახელმწიფო—საქართველო!

ფრიად არის გავრცელებული ის შეხედულება, თითქოს საქართველოს თავს მოახვიეს თავისუფლება, თითქოს დამოუკიდებლობა მას ვიღაცამ გამოაცხადებია, თითქოს ქართველ ერს თვით არ სურდა თავისი თავისუფლება. ეს შეხედულება რომ სწორი იყოს, სავალალო იქნებოდა. საბედნიეროთ ეს შეხედულება გამოწვეულია ისტორიულ განვითარების სრული გაუგებრობით და მოვლენათა ყალბი დაფასებით.

ეროვნულ განთავისუფლებისათვის ბრძოლას ორი უმთავრესი მომენტი ახასიათებს: 1) ხალხის მომზადება-მისწრაფება თავისუფლებისადმი,—ეს სუბიექტიური მხარე და 2) ამ მისწრაფების განხორციელებისათვის შესაფერისი გარეშე პირობები,—ეს ობიექტიური მხარე. ერთა განთავისუფლების ისტორია გვიჩვენებს, რომ ხშირათ ხან ერთი მოვლენა უსწრობს წინ მეორეს და ხან პირიქით. მაგრამ ერების განთავისუფლებისათვის ყველაზე უფრო შესაფერისსა და ხელსაყრელ მომენტს ომი და რევოლიუცია ჰქმნის. კერძოთ, საქართველოს ხალხისათვის მის უკანასკნელ ისტორიულ განვითარებაში ისეთი ხელსაყრელი მომენტი შეიქნა, რომ საქართველოს სახელმწიფოს დაბადებას ხელს არა უშლიდა რა. რჩება მხოლოდ თვით ხალხის ნება, ხალხის სურვილი დამოუკიდებლობისადმი. მართალია, ახალ საქართველოს თავის მომზადების ხანაში დამოუკიდებლობის პროგრამა არ წამოუყენებია, მაგრამ რევოლიუციურ განვითარებაში გადასწყვიტა ეს საკითხი თვით ხალხმა, მისმა მესვეურმა პარტიებმა. სოციალდემოკრატიამ, რომელიც ქართველი ხალხის დიდი უმრავლესობის ბედს თავის ზურგზე ატარებდა, სწორეთ და სამართლიანათ, ისტორის სრული გაგებით და პასუხისმგებლობით გადასწყვიტა საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი, რაც შემდეგ მთელმა ერმა მთელი 100 პროც. დაადასტურა და დამტკიცა. ობიექტიური პირობები საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მზათ იყო, საჭირო იყო ხალხის სურვილი და მისწრაფება, ესეც მზათ შეიქნა და გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა. მე სავსებით არ მაკვირვებს ის გარემოება, რომ მხოლოდ სულ ცოტა ხანში მოხდა ასეთი გიგანტური წინსვლა ქართველი ხალხის აზროვნებაში; არ უნდა დავივიწყოთ, რომ ეს იყო ომისა და რევოლიუციის ხანა, რომელიც თავის განვითარების გაქანებით ნორმალურათ მსვლელ მთელს ეპოქებს უდრის და სჭარბობს კიდეც.

D-r. ვ. ნოზაძე.

ქართველ მუშათა «განმათავისუფლებელნი».

«მენშევიკებმა მუშა და გლეხი დააბეს, ვაჭარი და სპეკულიანტი აუშვესო»—მოგვითხრობს ავტორიტეტულად «კომუნისტის» ფურცლებზე პავლე (პატარა) მ—ძე საყვარელიძე. უნდა ვიფიქროთ, რომ მეთერთმეტე არმიამ და შულავერში შემდგარ მოღალატეთა კომპანიამ ეს დაბმულები აუშვეს და გაანთავისუფლეს.

აი ამ «განთავისუფლებული» კლასის მდგომარეობას ექვსი წლის თავზე გვიხატავს თავის მოხსენებაში საბჭოთა მეხუთე ყრილობაზე თვით საოკუპაციო მთავრობის თავმჯდომარე, შალვა ელიავა. ცნობილია, რომ ფახი-ფუხში, სიტყვების რახა-რუხში და ჟესტებში მას არ ყავს ბადალი თვით ქართველ კომუნისტებშიაც კი. მიუხედავათ ამისა, ეხლანდელი მისი მოხსენება აჩრდილიც არ არის წინანდელი მისი გამოსვლებისა. მასში აღარ არის არც ძველი პათოსი, არც რიხი. ეტყობა მასაც გამოელია საფანელი, დაეკარგა.

მოსალოდნელი იყო, რომ ექვსი წლის თავზე «მუშურ-გლეხური მთავრობა» თუ სულ არ გააბედნიერებდა მუშებს, ცოტა რამ თვალსაჩინო მიღწევაზე მაინც მიუთითებდა მათ, ანდა რაიმე მომავლის პერსპექტივებზე მიაქცევდა მათ ყურადღებას.

სინამდვილეში გამოირკვა, რომ ხელფასი ისევ დაბალი და არა დამაკმაყოფილებელია, რომ ომის წინა მდგომარეობის მიხწევა ჯერ ისევ საოცნებო საგანია მუშებისათვის, რომ წყეული და შეჩვენებული ნიკოლოზის ხანა ჯერ კიდევ მიუღწეველია. და ეს ხთება მაშინ, როდესაც ევროპაში თითქმის ყველა ბურჟუაზიულმა სახელმწიფოებმა უკვე აღადგინეს ომის წინა ხნის ხელფასი, ხოლო ნეიტრალურმა სახელმწიფოებმა ბევრით გაუსწრეს მას წინ. *)

საბჭოთა საქართველოში 146,000 მუშიდან ერთი მეხუთედზე მეტი ე. ი. 30,000 კაცი უმუშევარია. შეიძლება თამამათ ითქვას, რომ დღეს არ მოიძებნება დედამიწის ზურგზე არც ერთი სახელმწიფო, სადაც ამდენი უმუშევარი იყოს, როგორც ჩვენში (რასაკვირველია პროპორციონალურად). დიდ უმუშევრობას აქვს ადგილი ინგლისში, გერმანიაში, უკანასკნელად თვით საფრანგეთში ფრანკის სტაბილიზაციის გამო, მაგრამ უმუშევართა რიცხვი შედარებით მუშათა საერთო რიცხვთან უმნიშვნელოა: მაგალითათ, საფრანგეთში ირიცხება 10.000.000 მუშა, მათში უმუშევართა რიცხვი 100.000 არ ასცილებია უფრო კრიტიკულ მომენტშიაც კი. ეხლა ის განახევრდა თითქმის. ინგლისში 17.000.000 მუშებში უმუშევრად არიან დღეს არა უმეტეს 1.100.000 კაცისა. დაახლოვებით ასეთივეა უმუშევართა რიცხვი გერმანიაშიც და სხვა. **)

საქართველოში ამ ჟამათ არ არის არავითარი კრიზისი. წინააღმდეგ, ცხოვრება იქ დუღს და გადმოდის (კომუნისტების სიტყვით მაინც): ფაბრიკა ქარხნები თითქმის ყოველ დღე იხსნება, გზები, ხიდეები და არხები კეთდება, ზაჰესები და რიონჰესები შენდება. და აი ასეთი ცხარე აღმშენებლობის დროსა 30.000 მუშა ხელი ვერ პოულობს საქმეს ე. ი. ყოველი ხუთი მუშიდან ერთი ცუდათ არის.

ორში ერთი, ან არ არის ის აღმშენებლობა, რაზედაც გაიძახიან კომუნისტები ან და რას უნდა მივაწეროთ უმუშევართა ასეთი პირდაპირ საზღაპრო რიცხვი? მომხსენებელი ამას მეტათ მარტივათ და უბრალოთ ხსნის—ხალხი ბევრია სოფელში, მიწის სივიწროვეა, სოფლში ვერ ეტევიან და ქალაქს აწვებიანო.

1923წ. ყოფილა 73,936 მუშა მოსამსახურე. 1924 წ. 90.773, 1925 წ. 110,674, 1926 წ. კი 146,958 ***). საკვირველია სწორეთ, თურმე ჩვენი მიწები წლიდან წელზე ვიწროვდება, სოფლის პროლეტარიზაცია არა ჩვეულებრივი ტემპით ხთება სწორეთ მაშინ, როდესაც ის ყველაზე უფრო ნაკლები მოსალოდნელი იყო, ესე იგი «სოციალისტური აღმშენებლობის» დროს.

მომხსენებელი რომ ცოტა მაინც გასჯილიყო და ამ უცნაური მოვლენის მიზეზები გამოეკვლია, დაინახავდა, რომ ქალაქს აწვება არა იმდენათ სოფელი, როგორც უცხო ელემენტები, რომლებიც სტოვებენ თავიანთ უვარგის სოფელ ქალაქებს და მოისწრაფვიან უკეთესისაკენ (ვის არ ახსოვს საქართველოს გასაბჭოების პირველი თვეები, როდესაც თბილისი აივსო მოხეტიალე მატროსებით და ინვალიდი ჯარისკაცებით, რომლებიც კალიასავით მოედვენ ჩვენ მხარეს ჯერ კიდევ უფრო მსუქანს და შეუჭმელს). სტუმარი, არსებული ხელისუფლების დახმარებით, ადვილათ იჭერს მასპინძლის ადგილს, ხოლო მასპინძელი რჩება ულუკმა პუროთ და ხშირათ იძულებულია სტუმრის სამშობლოშიაც კი გაემგზავროს (განა ცოტა იქნა ჩრდილოეთისკენ გადასახლებული?).

საბჭოთა ხელის უფლებისათვის ეს სასურველი მოვლენაა! რადგან მოსული ელემენტები პოლიტიკურად უფრო საიმედოა ძირითადზე. არის სრული გარანტია, რომ ის არც რუსის ჯარის გაყვანას მოითხოვს და არც დამოუკიდებლობისათვის იბრძოლებს. აი სადაა დამარხული ძაღლის თავი, ბ-ნო ელიავა.

არა ნაკლებ საყურადღებოა აქ მეორე მოვლენა, უმუშევართა დაზღვევის შესახებ. «სოციალიზმის სამეფოში» მუშათა დაზღვევა შერჩევით ხთება: 30.000 უმუშევრიდან მხოლოდ 5000 მიუღია დახმარება. არ ვიცით, რა დააშავეს დანარჩენებმა ან რათ არ ეხმარება მათ ხელისუფლება. უნდა ვიფიქროთ რომ პოლიტიკური მოსაზრებები არც აქ თამაშობს უკანასკნელ როლს.

«მუშურ გლეხური» ქვეყანა აქაც გამონაკლისია ბურჟუაზიული და კაპიტელისტური სახელმწიფებისაგან, სადაც დახმარება ეძლევათ ყველა უმუშევრებს გამოუკლებლივ (ინგლისში უკანასკნელი გაფიცვის დროსაც კი ეძლეოდა მუნიციპალიტეტებისაგან დახმარება გაფიცულთა ოჯახებს, განსაკუთრებით წვრილი ცოლშვილის პატრონთ).

მომხსენებელმა განსაკუთრებით გაუსვა ხაზი იმ მოვლენას. რომ მუშა თვისი ხელფასის საგრძნობ ნაწილს კულტურულ და პოლიტიკურ მოთხოვნილებას ანდომებს, ე. ი. «ეწევა» ჩინეთის რევოლიუციას, მაგრამ ამით ელიავები ვერავის გააკვირვებენ, რადგან აღარ მოიძებნება დედამიწაზე ისეთი უვიცი და გულუბრყვილო ადამიანი, რომელმაც არ იცოდეს ფასი ამ «შეწევისა» და დახმარებისა. ასეთი წყევლა კრულვით წაგლეჯილი ფული არავის შეერგება. და აკი წამწარდა ჩინეთის კომუნისტებს!

ვერც მომავლისათვის იძლევა რაიმე რეალურ იმედებს მომხსენებელი: «უნდა მივიღოთ ყოველივე ზომა, რომ საზოგადო სამუშევრით დავაკმაყოფილოთ უმუშევართა ერთი ნაწილი მაინც»-ო ამბობს ელიავა.

რომ მოხთეს სასწაული და კომუნისტებმა დაპირება შეასრულონ, მაშინაც კი სამუშაოს იშოვნის მხოლოდ ერთი მცირე ნაწილი, სულ დიდი-დიდი 5000 კაცი. დანარჩენი 25.000-თვის კი იმედიც არავითარი არ არის.

აი სოიალიზმიც ასეთი უნდა სწორეთ.

მერე ეს არის თქვენი მუშათა განთავისუფლება?

ნუ თუ იმიტომ შემოუძეხით შინ ურდოებს, რომ სამშობლოს კერა დაგვენგრიათ, ქართველი მუშები ფაბრიკა ქარხნებიდან გაგერეკათ და ულუკმა პუროთ დაგეტოვებინათ, მათი აქტიური ნაწილი გაგეჟლიტათ, ციმბირში, სოლოვკაში და ჩეკის სარდაფებში დაგეხრჩოთ?

ნუ თუ არ გეყოთ მშობელ ერის ტანჯვა-წამება? ან როდემდის უნდა გაგრძელდეს ეს ბარბაროსობა?

30.000 უმუშევარი, 10.000 საუკეთესო მამულიშვილი წამებული და ყვავ ყორანთა საძიძგნათ მიგდებული, მრავალი დახოცილი, ათასები ჩეკის სარდაფებში და ათას გვარ კონცლაგერებში ჩაგდებული და სასიკვდილოთ განწირული. ყველა ამათი ოჯახები კი აწიოკებული ძაძაში გახვეული ან და ულუკმა პუროთ ღვთის ანაბარათ მიგდებული!

აი რა მოუტანა ქართველ ხალხს თქვენმა ექვსი წლის ბატონობამ.

აბა რას ქვია გაბედნიერება თუ არა ამას!

აბა რა არის თავისუფლება თუ არა ეს!

ბ.მა ორჯონიკიძეებმა, ელიავებმა და საყვარელიძეებმა მართლაც აუშვეს ჩვენში ერთი ჯურის ხალხი და ეს ხალხი დღეს ლაღობს, ყირამალა გადადის განაწამები ერის ზურგზე, ბუქნას თამაშობს მუშისა და გლეხის თავზე, მაგრამ ამ ხალხს ჩვენში ცხვრების ნაძირალებს უძახიან.

აი ვინ არის თქვენი მრევლი, აი ვისი განთავისუფლებითაც თქვენ შეგიძლიათ იამაყოთ...

შ. აბდ—ი.

უცხოეთის მიმოხილვა.

ორი ბილი.

ერთი თვე ძლივს გავიდა მას აქეთ, რაც ინგლისმა გასწყვიტა დამოკიდებულება მოსკოვთან, და ბოლდვინის კონსერვატიული მთავრობა უკვე სდგამს ისეთ ნაბიჯებს, რომელიც ცხად ჰყოფს მის ცდას გამოიყენოს ეს კონფლიქტი საშინაო პოლიტიკაში. ჩვენ მხედველობაში გვაქვს ორი ბილი ანუ კანონ-პროექტი, რომელიც ამ ჟამად ტარდება ინგლისის პარლამენტში და ექნება, იჭვს გარეშეა, განუზომელი შედეგები ამ ქვეყნის ცხოვრებაში.

პირველს მათგანს ეძახიან ტრედ-უნიონების ბილს და მისი სათავე შარშანდელ საყოველთაო გაფიცვაში უნდა ვეძიოთ. ბოლდვინის მთავრობა აცხადებს, საყოველთაო გაფიცვა დიდ ბრიტანეთის კონსტიტუციის დარღვევა არისო. არ შეიძლება, განმარტავდა ის, მცხოვრებთა ერთ ნაწილს, როგორიცაა ტრედ-უნიონები, ნება მიეცეს შეაჩეროს ქვეყნის მაჯისცემა, მისი ეკონომიური ცხოვრება, და მით მთელი ერი განსაცდელში ჩააგდოსო.

ტრედ-უნიონების ბილის პირველი მუხლი კანონის გარეშე აღიარებს საყოველთაო გაფიცვას და მით ხელისუფლებას ნება ეძლევა პასუხისგებაში მისცეს ამ მუხლის დამრღვევნი. უმთავრესი აქ ისაა, რომ ტრედ-უნიონები იძულებული იქნებიან ზარალი ზღონ კანონის დარღვევისთვის, ხოლო როცა საქმე მიდგება მის თანხებზე, ინგლისის მუშა მეტის-მეტათ მგრძნობიარეა. მეორე მუხლი, რაც არა ნაკლებ მნიშვნელოვანია, მდგომარეობს იმაში, რომ ტრედ-უნიონის წევრი-მუშა არ არის ვალდებული, როგორც აქამდის, ორგანიზაციის მიერ, პოლიტიკურ მიზნებისთვის, დაწესებული გადასახადი შეიტანოს, თუ მას არ სურს. ნუ დაივიწყებთ, საარჩევნო ხარჯები ინგლისში აუტანელი ბეგარაა პოლიტიკურ პარტიებისთვის; გარდა ჩვეულებრივ კამპანიისა, რასაც ყველგან ვხედავთ. იქ შემოღებულია დიდი საწინდარი, რომელიც თვითეულმა კანდიდატმა უნდა შეიტანოს ხაზინაში, და ჰკარგავს კიდეც, თუ არ მიიღო მიცემულ ხმების განსაზღვრული პროცენტი. ბურჟუაზიულ პარტიებში საწინდარის კითხვა არ არის ისე მწვავე, რა თქმა უნდა,- რადგან კანდიდატები შემძლე არიან, უმეტეს შემთხვევაში, თვითონვე იკისრონ რისკი. სულ სხვაა მუშათა პარტია, აქ პარტია და არა კანდიდატი აკეთებს ამ რისკს. და სწორეთ ამიტომ ტრედ-უნიონების მიერ «პოლიტიკურ მიზნებისთვის» შეგროვილი თანხები უდიდეს მნიშვნელობის იყო მუშათა პარტიისათვის. დღეიდან ის, თუ კანონი ძალაში შევიდა, იძულებულია ნებაყოფლობით გაწერვას დაეყრდნოს, რომელიც უნდა გაატარონ ტრედ-უნიონებმა, სადაც, უნდა ითქვას, ისედაც იყვნენ აქა-იქ უკმაყოფილონი პოლიტიკური გადასახადით და ეხლა მათ მიეცემათ საშუალება სხვებსაც გადაადონ ეს მიდრეკილება.

მეორე ბილი ეხება ლორდთა პალატის რეფორმას. ეს პალატა, როგორც ვიცით, მემკვიდრეობით საფუძველზეა აშენებული, თუმც, რა თქმა უნდა, ლორდები თავში მეფის მიერ ინიშნებიან. ეს წესი ერთგვარი იარაღი იყო მთავრობის ხელში ურჩ პალატასთან საბრძოლველათ, რადგან მას ჰქონდა საშუალება იმდენი ახალი ლორდი გაეყვანა, მეფის ერთი კალმის გაკვრით, რამდენიც საჭირო იყო მის მომხრე უმრავლესობის ხელოვნურათ შესაქმნელათ. ბილი აუქმებს ამ წესს და ლორდთა რაოდენობას საზღვრავს ერთხელ და სამუდამოთ. ეს რაოდენობა არის 350, სწორეთ ნახევარი, რაც არის დღეს მეფის უფლება ლორდის შექმნისა თუმცა არ არის გაუქმებული, მაგრამ პალატის წევრთ, მესამედის პერიოდიულათ განახლებით, ირჩევენ თვით ლორდები. ამის და მიხედვით იმ ლორდებს, რომელნიც გარეთ დარჩებიან, ნება ეძლევათ თემთა პალატაში გავიდნენ დეპუტატებად. აქამდისინ ლორდები მოკლებული იყვნენ ამ უფლებას.

ეს არის, ასე ვსთქვათ, რეფორმის ტეხნიკური მხარე. გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია უფლებრივი მხარე. ლორდთა პალატის კომპეტენცია ძალზე შეზღუდული იყო, მას არ შეეძლო ვეტო დაედო თემთა პალატის კანონპროექტებზედ, განსაკუთრებით ფინანსიური ხასიათისა. კანონი, რამდენათაც ის ტარდება ცხოვრებაში, საჭიროებს ფინანსებს, მაშასადამე, თითქმის მთელს კანონმდებლობაში ლორდთა პალატა ფიქცია იყო სინამდვილეში. მას დაუმატეთ ისიც, რომ კითხვა იმის შესახებ, რომელია ფინანსიური კანონპროექტი, უნდა გადაეჭრა სპიკერს, ე. ი. თემთა პალატის თავმჯდომარეს. ბოლდვინის კანონ-პროექტი აუქმებს თემთა პალატის ამ პრივილეგიებს და ზედა პალატას ქვედა პალატას უთანასწორებს უფლებით და მოვალეობით.

მკითხველი მიხვდება, ლორდთა პალატის, ისე როგორც ტრედ-უნიონების რეფორმა მიმართულია, უპირველესად, მუშათა პარტიის წინააღმდეგ. უკანასკნელი, როგორც მეორე პარტია, მოსალოდნელია მთავრობაში ჩადგეს; ამ შემთხვევაში მას ერთმევა საშუალება შესცვალოს ლორდთა პალატის შემადგენლობა და, ვინაიდან ეს პალატა უფლებით გათანასწორებულია თემთა პალატასთან, მას არ შეეძლება არც ერთი კანონ-პროექტი გაიყვანოს ზედა პალატის ნება-დაურთველათ. ამიტომ არ არის გასაკვირი, თუ მუშათა პარტია ლორდთა პალატის სრულიად გაუქმებას მოითხოვს.

მაგრამ უკმაყოფილება ლორდთა პალატის რეფორმით სხვა პარტიებზედაც გადვიდა. ლიბერალები ერთხმად და მოზრდილი ნაწილი კონსერვატორებისა წინააღმდეგნი არიან. ამ რეფორმაში ისინი ხედვენ ინგლისის ერის მიერ მოპოებულ უფლებების შეზღუდვას. განა ამისათვის უბრძვიათ ამდენი ჩვენ მამა-პაპათ წარსულში—დრტვინავენ ხალხში—, რომ ჩვენ მიერ არჩეულ თემთა პალატის უზენაესი უფლებები ლორდებს დაუთმოთო! მთავრობაც შეფიქრიანდა; უკვე ლაპარაკობენ, რომ ორივე ბილი მომავალ საარჩევნო პლატფორმაზედ დაიწერება კონსერვატიულ პარტიის მიერ და, თუ გაიმარჯვეს, აი მაშინ შეუძლიათ კიდეც გაატარონო.

«PROMÉTHÉE»

ორგანო ეროვნული თავდაცვისა კავკასიის ერთა,
უკრაინის და თურქესტანისა.

გამოვიდა მე-8 ნომერი «პრომეთესი» და გამოვიდა სწორედ იმ დროს, როცა გამწვავებულად დგას ევროპის წინაშე რუსეთის საკითხი და როცა თვით რუსების ემიგრაციაში დიდი დავა და თავის მტვრევაა იმის შესახებ, თუ რა პოზიცია უნდა დაიჭირონ რუსებმა ამ საერთაშორისო კონფლიქტში: დაუჭირონ მხარი ევროპას ბოლშევიკების წინააღმდეგ, თუ დაეხმარონ ბოლშევიკებს ევროპის წინააღმდეგ.

ყველა ამ კითხვაზე მოკლედ, მაგრამ მკაფიოდ იძლევა პასუხს «პრომეთე».

მოწინავე წერილი—«პრობლემა აღმოსავლეთ ევროპისა»—ამტკიცებს, რომ ერთად ერთი გამოსავალი შექმნილ მდგომარეობიდან არის დაშლა სოციალისტურ-სოვეტიურ რესპუბლიკათა კავშირისა. თუ ავსტრო-უნგრეთის იმპერია დაჰშალეს და დააკმაყოფილეს ერთა მოთხოვნილება, განა საბჭოთა რევოლიუციონური იმპერია არ წარმოადგენს უფრო მეტ საშიშროებას კაცობრიობისათვის, რათა იმასაც მოუღონ ბოლო? მაგრამ სოვეტურ სისტემის დაშლა შეიძლება მხოლოთ ერთა განთავისუფლებით, მით უფრო რომ ყველა ეს ერები—უკრაინა, მთა, საქართველო, აზერბეიჯანი და თურქესტანი—ცნობილი არიან თვით ბოლშევიკების კონსტიტუციით, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფონი. ბოლშევიზმის დანგრევა შეიძლება მხოლოდ ამ ერთა განთავისუფლებით და განათლებული კაცობრიობა მორალურათ ვალდებულია დაეხმაროს ამ ერებს ყოველი ღონისძიებით.

მეორე მოწინავე წერილი—«ძალა ერთობაშია»—მიესალმება ახლად შემოსულს ჩვენს კავშირში თურქესტანს და ამტკიცებს, რომ რუსეთის ბატონობა სხვა ერებზე არ შეიძლება გამართლებულ იქნას რაიმე მოსაზრებით. სხვას როგორ მოუვლის ის ერი, რომელსაც თავის თავისთვის ვერ მოუვლიაო, გვეკითხება ავტორი, და მოუწოდებს რუსეთის ყველა დამონებულ ერებს ერთობისაკენ.

შემდეგ მოყვანილია მხურვალე მოწოდება «კავკასიის დამოუკიდებლობის კომიტეტისა» კავკასიის ერთა მიმართ. მოწოდება შეიცავს ბოლშევიკების ველური სისტემის კრიტიკას და დასახული აქვს კავკასიის სახელმწიფოთა კონფედერაცია, როგორც აუცილებელი პირობა კავკასიის ერთა განვითარების და ბედნიერებისა.

ბ. ანდრეევსი, შემდეგ წერილში, ამტკიცებს, რომ უკრაინის 40 მილიონი ხალხი ისეთი ძალაა, რომ ვერ შეიბამს თავს რუსეთის «პოვოზკაში». მისი ეროვნული ღირსება მოითხოვს თავისუფალ ცხოვრებას და ამისთვის არ შეუშინდება არავითარ შეტაკებას. უკრაინას არა აქვს პრეტენზია მოუტანოს კაცობრიობას ახალი სახარება, მაგრამ იქნება კი ბურჯი განათლების და საერთაშორისო სამართლისაო, ამბობს ავტორი.

ბ. ჟანაი, თურქესტანის წარმომადგენელი, ჯერჯერობით იძლევა თურქესტანის ახალ პოლიტიკურ რუქას, აჭრილს და დაჭრილს უთავბოლოდ ბოლშევიკების მიერ.

მეტად საინტერესოა «ფრანგულ-კავკასიურ-უკრაინული» მანიფესტაცია. 9 ივნისს გამართულ იყო დიდი ბანკეტი, რომელსაც დაესწრენ 150-დე წარჩინებული პირი, ცნობილნი, როგორც პოლიტიკაში, ისე მწერლობაში. ყველა აღტაცებით მიეგება «შავი ზღვის ბლოკს» და წარმოითქვა რამოდენიმე შესანიშნავი სიტყვა. «ის ქვეყნები, რომელთაც პირველად დაადგა საკაცობრიო განათლების განთიადი, ვერ დარჩებიან მონობაშიო, განაცხადა თავმჯდომარე ლენაიმ: ჩვენ მუხლს არ ვიდრეკთ ფაქტის წინაშე და ძალადობას არასოდეს არ ექნება ძალა უფლებისაო». შემდეგ სენატის, საგარეო საქმეთა კომისიის ვიცეპრეზიდენტმა გიორგი რეინალდიმ ვრცელი და მშვენიერი მოხსენება წარმოუდგინა საზოგადოებას საქართველოს და დანარჩენ მოკავშირე ერების შესახებ. ეს ბანკეტი იყო მართლა პირველი დღეობა ჩვენი წმინდა საქმისა პარიზის შუა-გულ. ხაზი ნათლათ გაესვა საფრანგეთის ერთის მხრივ და მეორე მხრივ ჩვენი ქვეყნების დამოკიდებულებას და ყველამ მიიღო ის უტყუარი შთაბეჭდილება, რომ ჩვენი ქვეყნების პოლიტიკური აღდგენა სავსებით ეთანხმება საფრანგეთის ინტერესებს.

სამწუხაროთ მეტი ადგილი არა მაქვს, რომ აღვნიშნო კიდევ მშვენიერი სიტყვა დ. შარაშიძესი, წერილი ბ. დუმულენისა შესახებ ბოლშევიკების თარეშის თურქესტანში და ავღანისტანში, წერილი ბ. კოკესი საქართველოს ეკონომიური სიმდიდრის შესახებ და ბევრი სხვა საინტერესო მასალა და ცნობა, რაც მოყვანილია «პრომეთეს» ამ უკანასკნელ ნომერში, მაგრამ მოყვანილ ცნობიდანაც სჩანს, რომ მისი შინაარსი მდიდარია და მრავალფერი.

«პრომეთე» დგას თავის სიმაღლეზე. მასში პოულობს გამოძახილს უკანასკნელი ტალღა ევროპის პოლიტიკური აზროვნებისა და მას ყურადღებით წაიკითხავენ როგორც პარიზში და ლონდონში, ისე ტოკიოში და ვაშინგტონში. ამას ამტკიცებს ის აუარებელი შეკითხვა და წერილი, რომელიც მოსდის რედაქციას.

მეთვალყურე.

აზერბეიჯანში.

სტამბოლის გაზეთი «ვაკით» ივნისის 27-ის თარიღით იუწყება, რომ ლენქორანის მაზრაში არეულობა მოხდა იმის გამო, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ მრავალი პირი დაატუსაღა ადგილობრივ მკვიდრთა შორის. ცხარე შეტაკების შემდეგ ნაწილი აჯანყებულთა გაიხიზნა ახლობელ მთებზე. მათ საწინააღმდეგოთ გაგზავნილ წითელ ჯარს მოუკლეს და დაუჭრეს რამდენიმე კაცი. ჯარი უკან დაბრუნდა. მდგომარეობა მეტად გამწვავებულია მთელს მაზრაში.

---

*) იხილეთ საერთაშორისო შრომის ბიუროს სტატისტიკური განყოფილების ანგარიშები. სადაც «კავშირი» ყველაზე დაბლა დგას ხელფასის რაოდენობით. (შ. აბ—ი).

**) ყოველ შემთხვევაში ჩვენ მხედველობაში გვყავს არა მარტო მუშები, არამედ ყველა ის, ვინც საკუთარი შრომის გაყიდვით ცხოვრობს. მუშათა საერთო რიცხვი იგულისხმება 1920 წლის აღწერათა ცნობებით, ხოლო უმუშევართა რიცხვი დღევანდელი რიცხვით. (შ. აბ—ი).

***) ელიავას მიერ მოყვანილი ციფრებია.

Rédaction et Administration .
M. J. GOBETCHIA
18, rue des Acacias, Paris.

Arpajon — Imprimerie de *La Gazette de Seine-et-Oise*

Le Gérant : LARGILIÈRE.